თავისუფალი, არარეგულირებული ფინანსური სისტემა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც 1971 წელს დაემხო ბრეტონ ვუდის ფინანსური სისტემა, რომელიც არასოციალისტურ სამყაროში მოქმედებდა 1945 წლიდან. 1971 წლის შემდეგ საერთაშორისო ფინანსური კაპიტალი თავის ნებაზე იქნა მიშველებული. ბრეტონ ვუდის დამხობას ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა "ახალი მემარჯვენეების" აღზევება დასავლეთში, რომლებმაც იერიში მიიტანეს ისედაც ძირგამოთხრილ იდეაზე, რომელსაც კეთილდღეობის სახელმწიფო ეწოდება. 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ფინანსურ-ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების საბოლოოდ დამკვიდრებასა და გაბატონებას.

გლობალიზაციამდე

1971 წლის აგვისტოში შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა 1945 წელს აღებულ საერთაშორისო ვალდებულებაზე - ოქროთი ფიქსირებული კურსით უზრუნველყო ამერიკული დოლარის გამოსყიდვა. ამერიკული დოლარზე იყვნენ მიბმულნი მსოფლიოს ნამყვანი ვალუტები, ხოლო ამერიკული დოლარი გარანტირებული იყო ოქროთი, კურსით - 35 დოლარი ერთ უნცია ოქროში. ეს გარანტია გახლდათ ძირითადი პუნქტი ბრეტონ ვუდის შეთანხმებისა, რომელიც გახდა საფუძველი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავისუფალი სამყაროს ეკონომიკის მოწყობისა. ბრეტონ ვუდის ქალაქია ნიუ ჰემპშირში, სადაც ხსენებული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ომის მიწურულს.

შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა თავის ტრადიციულ, კარჩაკეტილობის ანუ იზოლაციონიზმის, პოლიტიკაზე და მსოფლიოს ფინანსურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი-



ანტიგლობალიზატორ დემონსტრაციები ხშირად პოლიციასთან შეტაკებით სრულდება

რება ითავა. ბრეტონ ვუდის მოლაპარაკების მონაწილეებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ითამაშეს აშშ პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა და ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კინესმა. ისინი სხვადასხვა კუთხიდან უდგებოდნენ ეკონომიკურ-ფინანსურ საკითხებს, მაგრამ ორივეს სურდა აეცილებინა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიისა და ომამდელი პროტექციონიზმის გამოწვევი ეკონომიკური სისტემების გამეორება. პროტექციონისტული, არათავისუფალი მსოფლიო ეკონომიკა, მოუნესრიგებელი ფინანსები და შეერთებული შტატების კარჩაკეტილობის პოლიტიკა მიჩნეული იყო მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ სტრუქტურულ მიზეზებად. ბრეტონ ვუდის შეთანხმების შემდეგ ამას ყველაფერს ბოლო მოეღებოდა: შეერთებული შტატები უარს იტყვოდა იზოლაციონიზმზე და თავის თავზე იღებდა მსოფლიო ფინანსური სისტემის მონესრიგებას, რაც თავის მხრივ საშუალებას მისცემდა ომისაგან განადგურებულ ქვეყნებს, ფეხზე დამდგარიყვნენ პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე.

შეერთებულ შტატებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეეძლო ასეთი გარანტიების თავის თავზე აღება. 1945 წლისთვის ეს ქვეყანა ფლობდა მსოფლიო ოქროს საერთო მარაგის სამ-მეოთხედს. ბრეტონ ვუდის სრულყოფილი სისტემა არ გახლდათ, მაგრამ თავისი ძირითადი ფუნქცია კარგად შეასრულა: ომისგან განადგურებულ არასოციალისტურ ქვეყნებს ფეხზე დადგომამი დაეხმარა და, ამასთან, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკასაც ნააშველა ხელი. ბრეტონ ვუდის ძირითადი ნაკლი კი ის იყო, რომ საკუთარი წარმატება უღებდა მას ბოლოს. როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია, სამხრეთ კორეა და ზოგიერ-

თი სხვა ქვეყანა წელში გაიმართა, დადგა მომენტი, როდესაც დანარჩენ მსოფლიოს უფრო მეტი ამერიკული დოლარი აღმოაჩნდა, ვიდრე შეერთებულ შტატებს ჰქონდა ოქროს მარაგი.

ამიტომაც იყო, რომ 1971 წელს ნიქსონის ადმინისტრაციამ ბრეტონ ვუდის სისტემის გარანტირებაზე უარი თქვა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან შეერთებული შტატები ამიერიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა 1945 წელს აღებული ვალდებულებების შესრულებას, თუკი საკუთარ ქვეყანას გააკოტრებდა. ვიეტნამში მიმდინარე ომმა, რომელიც ასობით მილიარდი დოლარი დაუჯდა ვაშინგტონს, დააჩქარა რეგულირებადი ფინანსური სისტემის დამხობა. ვინაიდან ბრეტონ ვუდის გაუქმდა ისე, რომ მის ადგილზე არაფერი შექმნილა, მსოფლიო ფინანსები თავის ნებაზე დარჩნენ მიშველებული.

საწყისები

თუ რამე თავისუფალი არსებობს ფინანსურ-ეკონომიკურ სამყაროში, ეს გახლავთ მსოფლიო ფინანსური სისტემა. ე. წ. თავისუფალი ეკონომიკა და თავისუფალი ვაჭრობა არასდროს არ არის თავისუფალი, რადგან მათ ყოველთვის არეგულირებს რაღაც კანონები, შეთანხმებები თუ თამაშის წესები. მსოფლიოს ფინანსებს, ე. ი. სავალუტო კურსებსა და ვალუტის ყიდვა-გაყიდვას მსოფლიო მასშტაბით კი არაფერია და არაფერი არეგულირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო სავალუტო კურსები სრულიად ბაზრის ხელშია. სავალუტო კურსები დგინდება კერძო სავალუტო ბაზარზე და იცვლება არა ყოველთვიურად და ყოველწლიურად, არამედ ყოველწამში.

ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კეთილდ-

ღობისთვის ვალუტის სტაბილურობას. მაგრამ, თუ ეკონომიკის მართვა და მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მოვალეობაა, სტაბილურობის მთავარი ინგრედიენტი, სავალუტო კურსები, საერთაშორისო ფინანსისტების ხელშია. თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული ვალუტა საერთაშორისო სავალუტო ბაზრის ზენოლის ქვეშ მოხვდა, იმ ქვეყნის საქმე კარგად ნამდვილად ვერ იქნება. ხანდახან მთავრობები ცდილობენ ჩაერიონ სავალუტო ვაჭრობაში, რათა როგორმე დაეხმარონ თავიანთ დაღმა მიმავალ ფულის ერთეულს, მაგრამ ასეთ მცდელობებს ვერაფერი შედეგი მოაქვთ. საქმე ის არის, რომ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანაც კი (რომელიც კვლავინდებურად შეერთებული შტატები გახლავთ) ვერაფერს გახდებდა მსოფლიოს ფინანსური ბაზრის ძალასთან შედარებით. 2000 წლისთვის მსოფლიოს სავალუტო ვაჭრობის მოცულობამ გადააჭარბა ერთ ტრილიონ (ათას მილიარდ) ამერიკულ დოლარს დღეში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი კვირის ნავაჭრის მოცულობა აღემატებოდა შეერთებულ შტატების საერთო ეროვნულ შემოსავალს.

ყველაზე დიდი ფინანსური ბაზარი მსოფლიოში ლონდონის ევრომარკეტი გახლავთ. ეს კერძო ფინანსური ბაზარია და იგი ხელისუფლების მიერ არ არის რეგულირებული. ევრომარკეტის ყველაზე დიდი და სტაბილური კლიენტები არიან მულტი-ეროვნული კორპორაციები და განვითარებადი სამყაროს ქვეყნები. მულტი-ეროვნული კორპორაციების ინტერესებს დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალნი იცავენ, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ისინი არიან მსოფლიოში ყველაზე დიდი მენარმენი. მულტი-ეროვნულებს თავიანთ ინტერესების დაცვა თავადაც კარგად შეუძლიათ

წარმოების განვითარებად ქვეყნებში გადატანით, სადაც ძალიან იაფი მუშახელია. საქონლის წარმოებაში ძალზე მცირე თანხის გადახდით ეს კორპორაციები ლებულობენ ძალიან დიდ მოგებას და იქმნიან ფინანსურ-კაპიტალურ რეზერვებს, რაც მათ საშუალებას აძლევთ, წარმატებით გადაიტანონ ფინანსური თუ ეკონომიკური კრიზისები. ამასთან ერთად, თუ რომელიმე ქვეყანა ფინანსურ კრიზისში მოექცა, მულტი-ეროვნულებს იოლად შეუძლიათ მისი დატოვება და მეზობელ ქვეყანაში გადაბარება, რომელსაც კრიზისი ჯერ არ შეხებია.

ამის გამო მულტი-ეროვნულ კორპორაციებს თამამად შეუძლიათ ფინანსურ ბაზარზე ფულის სესხება, რადგან ამ სესხის გადახდა გარანტირებულია იაფი მუშახელითა და უზარმაზარი შემოსავლებით. სესხის აღება, ფულის მოგებით დატრიალება, შედარებით იაფი საქონლის შემოტანა კი ხელს აძლევს დასავლეთის ქვეყნებს, სადაც ეს კორპორაციები და ბანკები არიან მოთავსებულნი. 1990-იან წლებში აშშ ეკონომიკა იზრდებოდა და ამაში დიდი როლი შეასრულა იაფმა მუშახელმა და იაფმა საქონელმა განვითარებადი ქვეყნებიდან. ამას არა ერთხელ გაუსვა ხაზი ლან გრინსპენმა, შეერთებული შტატების სარეზერვო ბანკის თავმჯდომარემ.

განვითარებადი ანუ მესამე მსოფლიოს ქვეყნები კი მსოფლიოს ფინანსური კაპიტალის გაყოფის საპირისპირო მხარეს აღმოჩნდნენ. მათ დიდად წააგეს ბრეტონ ვუდის გაუქმების შემდეგ. 1971 წლამდე განვითარებად ქვეყნებს შეეძლოთ დასავლეთიდან კაპიტალის მიზიდვა, რამეთუ მათი ვალუტის ღირებულება მიბმული იყო ამერიკულ დოლარზე. ინვესტორს პოტენციური სამოქალაქო ომისა თუ რევოლუციის თუ ემინოდა იმ ქვეყნებში და არა ადგილობრივი ვალუტის მოულოდნელი დაცემისა. ამდენად, თუ პოლიტიკური ვითარება სტაბილური იყო, იქ თამამად შეიძლებოდა ფაბრიკისა თუ ქარხნის გამართვა და რაიმე საქონლის წარმოება, რადგან სტაბილური და წინასწარ გათვალადი ფინანსური სისტემა გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმების შექმნისა და განხორციელების საშუალებას იძლეოდა. ასეთი რამ შეუძლებელია არარეგულირებადი ფინანსური სისტემის პირობებში, როდესაც სუსტი ვალუტების კურსის გრძელვადიანი გათვლა შეუძლებელია და ფინანსური კრახის სიურპრიზი კი ყოველდღე არის მოსალოდნელი.

რეგულირებადი ფინანსური სისტემის დროს განვითარებად ქვეყნებს ასევე წარმატებით შეეძლოთ დაბალპროცენტული და გრძელვადიანი სესხების აღება, როგორც ბანკებისგან, ასევე დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისგან. თავისუფალი ფინანსური სისტემის პირობებში დაბალპროცენტული სესხის ცნება მესამე მსოფლიოს ქვეყნებისთვის თით-

"ჩრდილოვანი მთავრობა" ქართულად

მაია ბერიძე

დარჩენოდა, რომ ეზრუნა საკუთარ პოლიტიკურ (და არა მარტო) ბედზე და ამ მიზნით სახელისუფლებო პარტიის დამცავი მექანიზმებით "შეიარაღებულიყვნენ".

ესლა კი კვლავ დაუბრუნდეთ "ჩრდილოვანი მთავრობის" ქართულ მოდელს; პირველმა მათგანმა (რომელიც ზემოთ უკვე იქნა განხილული) ჯერ "მოქალაქეთა კავშირის" და შემდგომ პარლამენტის თავმჯდომარეების მიერ თანამდებობიდან გადადგომის შედეგად ამონუარა თავი. თუ კი "ბოროტი ენებს" დაუფრთხვებოდა, პრაქტიკულად იმავდროულად ქართული "ჩრდილოვანი მთავრობის" მეორე მოდელის ელემენტები ამოქმედდა, რომლის ინიციატორიც (იმავე "ბოროტი ენების" თქმით), ჩვენდა საუბედუროდ, კვლავ ხელისუფლება, ოღონდ ამ შემთხვევაში, რაგინდ პარადოქსალურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, თავად პრეზიდენტი აღმოჩნდა.

2001 წლის მიწურულს მასობრივ მღელვარებათა შედეგად პრეზიდენტი იძულებული შეიქმნა, ხალხის გამაღიზიანებელი რამდენიმე მინისტრი შეეცვალა. მაგრამ ეს შეცვლა რომ ფორმალური ყოფილიყო და გადაყენებულ მინისტრს სამინისტროს და შედეგად - შესაბამისი სფეროს რეალური მართვის სადავეები შენარჩუნებოდა, ამისათვის საჭირო იყო შედარებით უპრეტენზიო და მოცემული თანამდებობისათვის ნაკლებად შესაფერისი პიროვნების დანიშვნა, რომელსაც სამინისტროს ახალი დებულების მიღებისა და, ამდენად, ახალი საკადრო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას ზემოდან დაუბლოკავდნენ, ხოლო ყოფილი მინისტრის მიერ დანიშნული "ძველი" კადრები კი ამ უკანასკნელის არაფორმალური მითითებებით გააგრძელებდნენ მოქმედებას.

შედეგად მივიღეთ "ჩრდილოვანი მთავრობის" კიდევ ერთი და კვლავ თავდაყირა დაყენებული მოდელი: თუ განვითარებულ ქვეყნებში "ჩრდილოვანი მთავრობის" წევრები მომავალი რეალური სამთავრობო საგარდლების პრეტენდენტები არიან, ქართულ სინამდვილეში ჩვენ უკვე გვყავს ე.წ. "ჩრდილოვანი მინისტრი" (შეიძლება, მინისტრებიც), რომელიც ოფიციალურად მინისტრი წარსულში იყო, თუმცა რეალური მართვის სადავეები ხელთ დღესაც უპყრია.

ხსენებული "ბოროტი ენები" იმასაც ამბობენ, რომ დღევანდელ მთავრობაში ისეთი მინისტრიცა გვყავს, რომელსაც "თავისი" მოადგილე ვერ დაუნიშნავს, ხოლო ის, ვინც ჰყავს, სხვადასხვა "ჯგუფების" ზენოლით დაინიშნა და მათგანაა მართული, ან ისეთი მინისტრი-

ცაა, რომლის ფუნქციასაც სხვა მინისტრის მოადგილე ასრულებს, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ "უჩინ-მაჩინ" მინისტრზე, რომლის ნახვაც მის მოადგილეებსაც კი ენატრებათ. როგორც ცნობილია, "ბოროტი ენები" სწორედ იმიტომაცაა "ბოროტი", რომ სიტუაციის დამძიმებას ემსახურება, ამიტომ უნდა ვიმედოვნოთ, რომ რეალური სურათი, შეიძლება, დამრთველი სულაც არ იყოს.

მაინც, რა არის "ჩრდილოვანი მთავრობის" ქართული მოდელის არსებობის ობიექტური საფუძველი?

ეს, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო დემოკრატიის შესატყვისი ინსტიტუტების სისუსტის, "სერიოზულ" ოპოზიციურ პარტიათა დაქსაქსულობისა და ქართველი ამომრჩევლის დაბალი პოლიტიკური კულტურის შედეგია.

ის უმთავრესი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც სახელისუფლებო "ჩრდილოვანი მთავრობის" ქართულ მახინჯ კონსტრუქციას პრაქტიკულად დაანგრევს, ეს მინისტრთა კაბინეტია, რომელიც აუცილებლად გუნდური პრინციპით უნდა აიგოს (ანუ, როცა პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი დაამტკიცებს, ხოლო მინისტრებს თავად პრემიერ-მინისტრი დანიშნავს); ამ შემთხვევაში ხელისუფლებისათვის თავისი "ჩრდილოვანი მთავრობის" არსებობა ნამდვირად იქნება.

ის, რომ "ჩრდილოვანი მთავრობის" ქართული კონსტრუქცია გადმოხრუნებას, ანუ "ფენებზე დაყენებას" მოითხოვს, ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს; ის, ვინც ეს უნდა ითავოს ოპოზიციას (რამეთუ "ჩრდილოვანი მთავრობა" თავისი ბუნებით ოპოზიციურია), რომელმაც, უწინარეს ყოვლისა, თავისი კონსტრუქციული ფუნქციის გაძლიერების აუცილებლობა უნდა გაიცნობდეს და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ თუნდაც "ჩანასახოვან" ვარიანტში მოიაზროს "ჩრდილოვანი კოალიციური მთავრობის" შექმნის შესაძლებლობა და კონტურები.

ქართველი ამომრჩევლის პოლიტიკური კულტურის ამაღლებას რაც შეეხება, ეს მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანი არჩევნების შედეგად მიიღწევა და თითოეული ჩვენი თანამემამულის ვალია, ყველაფერი ილონოს იმისათვის, რომ საარჩევნო გაყალბების შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, რაშიც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მეთვალყურეობასა და შესაძლო უანგარო დახმარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გლობალიზაცია: ფინანსურ-ეკონომიკური ფენომენი

მაია ბერიძე

ქმის მთლიანად გაქრა. ახლა თუ სესხს აიღებენ, ეს იქნება მხოლოდ კომერციული და მაღალპროცენტული თანხა ან კერძო ბანკისგან ან კიდევ საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან. თავად სავალუტო ბაზრები კი უაზროდ გაიზარდა, რადგან პოტენციურ ინვესტორებს ფინანსურ ბაზრებზე სპეკულირება ურჩევნიათ მესამე მსოფლიოსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფულის დაბანდებას. რისკი უფრო მცირეა, მოგება - უფრო სწრაფი და გაცილებით დიდიც.

ბრეტონ ვუდის სისტემა ძალიან კარგი იყო ინვესტორისთვისა და მენარმესთვის. საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური ბაზრის მონაწილეები საქმიანობდნენ იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს ეკონომიკა იზრდებოდა ამერიკული დოლარის მზარდი რეზერვების ხარჯზე. ასეთი ფინანსურ-ეკონომიკური სცენარი იმის საშუალებას აძლევდა დასავლეთის ქვეყნებს, რომ გაეცათ სესხები და კრედიტები და არ შინებოდათ იმის, რომ ხვალ ეს ფული ქალაქად იქცეოდა. არ იყო იმის შიში, რომ დიდი და გრძელვადიანი სესხები გამოიწვევდა ინფლაციის ზრდას, ფულის გაუფასურებას, ამერიკული დოლარის დასუსტებას, თუ ერთი ქვეყნიდან მეორეში კაპიტალის გადინებას. ასეთი სისტემის პირობებში აღმოჩნდა შესაძლებელი "მარშალის გეგმის" განხორციელება დასავლეთ ევროპაში, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ეკონომიკურად ფეხზე დაყენება და განვითარებად ქვეყნებში დიდი კაპიტალური მშენებლობებისა და პროექტების დაფინანსება. ახლა ასეთი დიდი გეგმები და პროექტები შეუძლებელია, რადგან ყველაზე ძლიერი ვალუტა, ამერიკული დოლარიც კი შეიძლება იოლად გაისრისოს საერთაშორისო სავალუტო ბაზრის სიმძიმის ქვეშ.

მზარდი ვალი

განვითარებადმა ქვეყნებმა მალევე იგრძნეს ბრეტონ ვუდის სისტემის გაუქმება. 1950-60-იან წლებში მათი ეკონომიკა ვითარდებოდა დასავლეთის ქვეყნებიდან პირდაპირი ინვესტიციების წყალობით. ვინაიდან ასეთმა ინვესტიციებმა საგრძნობლად იკლო 1971 წლის შემდეგ, მესამე მსოფლიოს ქვეყნებმა კერძო ბაზრებს მიმართეს, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ეკონომიკური ზრდა. განვითარებადი ქვეყნების ვალები ძლიერ გაიზარდა 1973-74 წლების ნავთობის კრიზისის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მათი სესხები სწორედ ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების დეპოზიტების ხარჯზე იყო გაცემული. დასავლეთის დიდმა ბანკებმა კრედიტის გაცემა დაიწყეს სტანდარტული კომერციული სქემით - სესხი გაი-



ანტიგლობალიზაცია ხალხმრავალი დემონსტრაცია

ცემოდა 5-10 წლით, ძირითადი თანხა (თავანი) უნდა დაფარულიყო სესხის ვადის გასვლისთვის, ხოლო პროცენტები სესხზე რეგულარულად შეუდგა ეკონომიკური რეგულაციის ნიშნულზე დასავლეთის ვალუტის ღირებულება ბანკისთვის.

1980-იანი წლების დასაწყისში ნავთობის მეორე კრიზისის შემდეგ მესამე მსოფლიოს ქვეყნების მდგომარეობა კიდევ უფრო უკან წავიდა. მსოფლიო ეკონომიკა რეცესიაში მოექცა, სამომხმარებლო პროდუქტები გაძვირდა, პროცენტები კი საბანკო სესხებზე გაიზარდა. ამის შედეგად განვითარებადი ქვეყნების ვალებიც გაიზარდა, ხოლო მათი გადახდისუნარიანობა კი შემცირდა. 1982 წლის აგვისტოში მექსიკამ გამოაცხადა, რომ ვერ იხდიდა ვალს მიმდინარე ანგარიშზე. ყველაზე დიდი განვითარებადი ქვეყნები, ბრაზილია, არგენტინა და ვენესუელა მალე მიჰყვნენ მექსიკის კვალს.

დასავლეთში მაშინ კარგად ვერ გაიგეს შექმნილი სიტუაციის მთელი სერიოზულობა. გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ვალის კრიზისი იყო დროებითი. ბანკებმა ვალების რეკონსტრუირებას მიმართეს, მათ პატიებაზე კი უარი თქვეს. აღსანიშნავია, რომ, სანამ სესხის რეკონსტრუირებაზე დათანხმდებოდნენ, ბანკები მოითხოვდნენ, რომ მათ მე-ვალე ქვეყნებს ცხოვრებაში გაეცათ ინფლაციის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი მკაცრი ეკონომიკის წესები. 1985 წლიდან შეერთებული შტატების ადმინისტრაციამაც დაუჭირა მხარი სავალუტო ფონდის მიერ დანერგილი ეკონომიკური რესტრუქტურირების პოლიტიკას. ამგვარად, საბოლოოდ შეიცვალა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის როლი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს ორი ინსტიტუტი შექმნილი იყო ბრეტონ ვუდის შეთანხმების შემდეგ, რათა უზრუნველყოთ სისტემის გამართულად მუშაობა. 1980-იან წლებში კი მათ გამოძენეს ახალი ფუნქცია, რაც დღესაც გამოიხატება ღარიბ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარებაში.

ამის შედეგად, ბოლო ოცი

წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოიპოვა არნახული ძალაუფლება და გავლენა. ეს ორგანიზაცია მიზანდასახულად შეუდგა ეკონომიკური რეფორმების გატარებას ისეთი აბსურდული ეკონომიკური დოქტრინის მიხედვით, როგორც არის ნეოლიბერალური ეკონომიკა. ეს დოქტრინა 1980-იანი წლების დასაწყისში მოდამ იყო დასავლეთში და ბატონობდა შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში და დასავლეთ გერმანიაში. ნეოლიბერალური ეკონომიკური რეფორმების ცხოვრებაში გატარების შედეგად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოიპოვა მეტად საუკეთესო რეპუტაცია, როგორც განვითარებადი ქვეყნების მასობრივად გამლატაკებელმა და მთავრობების დამხობის ინიციატორმა. ლონდონის მერმა, კენ ლივინგსტონმა ამ ორიოდ წლის წინ ისიც კი სთქვა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინარა, ვიდრე ჰიტლერმაო.

საბოლოო ჯამში, ბრეტონ ვუდის სისტემის მოშლამ გამოიწვია შემდეგი შედეგები: განვითარებადი ქვეყნები მოექცნენ ვალის სპირალში, ე. ი. ძველი ვალის გადასახდელად ახალი ვალის აღება უნევთ და ასე გრძელდება დღემდე; ამის ხარჯზე დასავლეთის ქვეყნებმა და, განსაკუთრებით მათმა, დიდმა ბანკებმა იმოყვანეს ბლომად ფული; მულტი-ეროვნულმა კორპორაციებმა ეს ფული გამოიყენეს თავიანთი წარმოების კიდევ უფრო გაზრდისთვის; საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ხელი მოჰკიდა ეკონომიკური რეფორმების ჩატარებას, რასაც არც ერთ განვითარებად ქვეყანაში არ მოუტანია დადებითი შედეგი; განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა მასობრივად გაღატაკდა და უზომოდ გაიზარდა ზღვარი მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის.

ასეთ პროცესებზე ლოგიკური რეაქცია გახლავთ 1990-იან წლებში აღმოცენებული ანტი-გლობალიზაციური მოძრაობა, რომლის ძირითადი მიზანია - გავლენა მოახდინოს დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლებაზე, რათა ისინი გაჭირვებულ ქვეყნებს დაეხმარონ.

"ბაღდადელი ქურდი" დიდი მანევრები


თორნიკა ზარაზინიძე

უკვე რამდენიმე თვეა, მთელი მსოფლიო მოუთმენლად ელის სიახლეებს მსოფლიოს ორი უკიდურესი ნერტილიდან – ბაღდადიდან და ვაშინგტონიდან. უკვე რამდენიმე თვეა, ამერიკა გულმოდგინედ ემზადება კოალიციის შესაკრევლად ერაყული რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ამ გზაზე უამრამ წინააღმდეგობას აწყდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეების მიერ საფრანგეთში დესანტის გადასხმის შემდეგ ამდენი მითქმა-მოთქმა და მზადება არცერთ სამხედრო ოპერაციას არ ხლებია თან. შეიძლება, მაშინდელ ოპერაციას უფრო დიდი ადგილი უჭირავს მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ გამორიცხული არაა, ერაყში მომავალმა შეჭრამაც რადიკალურად შეცვალოს წესრიგი რუქაზე. ახლა მეტად რთულია ერაყის ომთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გარჩევა, როგორცაა მაგალითად მუსლიმანური და ქრისტიანული სამყაროს შეჯახება. საამისოდ პროგნოზების კეთება, ალბათ, გამოჩენილ პოლიტოლოგებსა და კონფლიქტოლოგებსაც გაუჭირდებათ. მაგრამ, სამაგიეროდ შეიძლება გაკეთდეს ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მნიშვნელოვნადაა ჩართული ამ კონფლიქტში და რომელსაც სადამ ჰუსეინი მშვენივრად იყენებს.

ერაყელ დიქტატორზე ბევრი რამ ვაგვიგონია. ძირითადად, იგი ხასიათდება ხოლმე როგორც ტირანი, როგორც პარანოიკი და ა.შ. მაგრამ, რა ეპითეტებითაც არ უნდა შეამკონ, ერთი რამ ფაქტია: სადამმა გადაიტანა ამერიკასთან ერთი ომი, იქიდან საჭირო დასკვნები გამოიტანა და ახლა მის წინააღმდეგ მეორე კამპანიის დაწყება ძალიან ჭირს. სადამს ამჯერად აღარ მოუხდენია მეზობელი ქვეყნის ოკუპაცია და ამიტომ მუსლიმანური სამყარო თვით ვაშინგტონის ძველი მოკავშირის, საუდის არაბეთის სახით ერაყში შეჭრის წინააღმდეგია. მაგრამ ამერიკისგან თავის დასაცავად მხოლოდ მუსლიმანური სამყაროს მხარდაჭერა არ კმარა და ამიტომ, ახლა სადამი მარტივ, მაგრამ გენიალურ სტრატეგიას მისდევს: იგი გროშებად უთმობს თავისი ხალხის კუთვნილ ნავთობს ყველას, ვინც ამაზე უარს არ იტყვის და ვინც ამის სანაცვლოდ მას სიტყვას შეაწევს და შეეცდება, ამერიკის აგრესიისგან დაიცვას. ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ ამ "ყველაში" ყველა ხვდება – დაწყებული ბრიტანულებიდან, დამთავრებული ინდური ნავთობკომპანიებით - ყველა, ამერიკული ნავთობკომპანიების გარდა. ასე რომ, ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ჰუსეინს სრული საფუძველი ექნება განაცხადოს, რომ ბუმბა ეს არა დემოკრატიისა და მშვიდობის დასაცავად გააკეთა, არამედ ერაყული "შავი ოქროს" ხელში ჩასაგდებად, რომელზეც ამერიკელები ასე ოცნებობენ.

ერაყსა და უცხოურ ნავთობკომპანიებს შორის ბოლო დროს გაფორმებულმა ხელშეკრულებები მეტად მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ აშშ-ს მომავალ გეგმებში, განურჩევლად იმისა, სამხედრო დარტყმა განხორციელდება თუ არა. "შავი ოქროს" ოდენობით ერაყი მხოლოდ საუდის არაბეთს ჩამორჩება. ნავთობის მარაგი ამ ქვეყანაში, სულ მცირე, 110 მლრდ ბარელს შეადგენს და, თუკი ხმები ჰუსეინის მიერ უცხოურ კომპანიებზე საბადოების მიყიდვის შესახებ სანახევროდ მაინც დადასტურდა, ამერიკელები "თამაშვარე მდგომარეობაში" აღმოჩნდებიან.

ჰუსეინი ნავთობს, დიდი ხანია, იყენებს პოლიტიკურ იარაღად. იგი თავის ჭკუაზე, ყველასათვის მოულოდნელად შეაჩერებს ხოლმე "შავი ოქროს" ექსპორტს. ამით ხელოვნურად ზრდის ხოლმე სანჯავის ფასებს და ბაზარზე არეულობა შეაქვს. საამისოდ საბაზს სადამი ყოველთვის პოულობს და, სხვა თუ არაფერი, ამერიკის ისრაელისადმი მხარდაჭერას უცხადებს ხოლმე პროტესტს. მაგრამ ახლა, შეჭრის მოლოდინში, "ბაღდადელი ქურდი" პირიქით იქცევა: როგორც იუნჯებიან, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ერაყული ნავთობის ექსპორტი ლამის გაორმაგდა. გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ ქვეყნიდან ჩვეულებრივად გადის ნავთობი, (სანაცვლოდ ერაყი სამედიცინო მედიკამენტებსა და საკვებს იღებს) – გაერო აწესებს თანხას, რომლის ღირებულების "შავი ოქროს" უნდა გაიყიდოს უცხოურ ბაზარზე და, შესაბამისად, ნავთობი შეზღუდული მოცულობით იყიდება. მაგრამ ჰუსეინი რაღაც მანქანებით მუდამ ახერხებს თავი აარიდოს შეზღუდვას. ჯერ იყო და იგი იაფად ჰყიდდა "შავ ოქროს." შემდეგ, როცა გაერო-მ გასაყიდი ფასიც დაანება, ჰუსეინმა მყიდველებს მომავალში ზარალის კომპენსირება აღუთქვა და სანჯავი მაინც დიდი რაოდენობით გააქვს. ამ თამაშმა შედეგი გამოიღო: ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ერაყთან ხელშეკრულებები გააფორმეს ისეთმა კომპანიებმა, როგორებიცაა ფრანგული "ტოტალფაინა ელფი," იტალიური "ენი" და ესპანური "რეპსოლი." ახლა ეს ევროპული ქვეყნები ძნელად თუ დაუჭერენ მხარს ერაყში შეჭრას. გარდა ამისა, ყველას კარგად ესმის ის ფაქტიც, რომ "ბაღდადელმა ქურდმა" მეტად დიდი რაოდენობით ნავთობი გაუშვა მსოფლიო ბაზარზე და ამ წყაროს უცაბედი მოსპობა ფასების სერიოზულ აღრევას



და ბირჟებზე პანიკას გამოიწვევს. ეს უკვე ვაშინგტონშიც სერიოზულად ადარდებთ.

"ტიტალფაინა ელფი" და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიები ერაყული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გატანას ენევიან, მაგრამ ჰუსეინი უხვად არიგებს ბურღვისა და მომსახურების კონტრაქტებსაც. რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთმა თურქულმა ფირმამ მიიღო ჩრდილო ერაყში ბურღვის უფლება. სულ ახლახან ქვეყანას ეწვია თათარსტანის (რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ავტონომია) კომპანია "ტატნეფტის" გუნდი, რომელმაც დაახლოებით 70 ჭა უნდა დაბურღოს. ეს ერთ-ერთი უდიდესი გარიგებაა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და იგი კიდევ უფრო განამტკიცებს ბაღდადის ეკონომიკურ კავშირებს მოსკოვთან. სპეციალისტთა შეფასებით, "ზარუბეჟნეფტმა," რომელზეც "ტატნეფტი" მუშაობს, 90 მლრდ დოლარის გარიგებას გამოჰკრა ხელი.

მართალია, გაერო-ს სანქციები უცხოურ კომპანიებს ერაყის ეკონომიკაში – და მათ შორის, ცხადია, ნავთობის სფეროშიც - ინვესტიციების განხორციელებას უკრძალავს, მაგრამ ხეირიანად ამ შეზღუდვებს, ალბათ, მხოლოდ ამერიკული კომპანიები ემორჩილებიან და ჰუსეინიც კარგად იყენებს ამ გარემოებას. იგი სასაცილო ფასებით უთმობს თავისი ქვეყნის სიმდიდრეს გავლენიანი ქვეყნების კომპანიებს. ფრანგული "ტოტალი," რომელმაც უზარმაზარი საბადოები გადაიფორმა, უკვე ვახსენეთ. რაღაც წილი ჩინეთისა და ინდოეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიებსაც შეხვდა (ამ ქვეყნებს ჰუსეინი ისეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და შედარებით ნაკლები დაუთმო). ის კი არაა, თვით "როილ დან შელმაკ" (ეს ხომ ბრიტანეთის, ვაშინგტონის ყველაზე ერთგული მოკავშირის წარმომადგენელია) კი გააფორმა ხელშეკრულება ჰუსეინის რეჟიმთან.

ყველაზე მეტად კი ერაყში მაინც რუსული კომპანიები ხარობენ. "ზარუბეჟნეფტის" გარდა, აქ ფეხი მოიკიდა "ლუკოილმა," რომელსაც საკონტროლო წილი უპყრია 11 მლრდ ბარელიან დასავლეთ ქურნას საბადოში. კომპანია უახლოეს მომავალში აქ 4 მლრდ დოლარის ინვესტირებას აპირებს. რუსეთი ამით არ დაკმაყოფილდა და ახლახან 40 მლრდის ღირებულების ეკონომიკური ხელშეკრულება გააფორმა ბაღდადთან.

ოფიციალურად ჰუსეინის რეჟიმთან უკვე 30 ხელშეკრულება გაფორმებულია, რომლებიც სანქციების ახსნისთანავე მთელი სიმძლავრით ამუშავდება. როგორც უკვე ვახსენეთ, ამ ხელშეკრულებების გაფორმებისას ბაღდადელმა ქურდმა არნახული გულუხვობა გამოიჩინა. "დოიჩე ბანკის" შეფასებით, ყოველწლიური მოგება ამ გაფორმებული პროექტებიდან 20 პროცენტი იქნება.

ცხადია, ეს მეტად ცუდი სიახლეა ამერიკული კომპანიებისათვის. მაგრამ აქ ერთი მომენტიცაა დასაზუსტებელი: იმუშავებს ყველა ეს კონტრაქტი ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ? ამერიკელი მენავთობეები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ხელშეკრულებები გაუქმდეს. მაშ, როგორ? ყველაფერი ეს გაფორმდა სისხლიან ტირანსა და იმ კომპანიებს შორის, რომელთაც მხოლოდ საკუთარი მოგება ანაღ-

ვლებდათ და არა დემოკრატიის იდეალები. განა შეიძლება იმის დაშვებაც კი, რომ ერაყის მომავალმა დემოკრატიულმა მთავრობამ (რომელიც ვაშინგტონიდან დაისმება) შეიძლება რამდენ ჩააგდოს ჰუსეინის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტები? ერაყის ე.წ. ეროვნული კონგრესის (განდევნილი ოპოზიციონერების ჯგუფი) წევრები ლამის ყოველდღიურად მოგზაურობენ ტეხასში და იქაურ მენავთობეებს საზეიმოდ ჰპირდებიან, რომ აშშ-ს "ხელ-ფეხი ექნება გახსნილი დემოკრატიული ერაყის საბადოებზე."

მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ერაყის ოპოზიცია ახლა უხვად დაარიგებს დაპირებებს მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, შეიძლება არაფერიც არ შეიცვალოს, თუნდაც ახლანდელმა ერაყის კონგრესმა ეს ძალიან მოინდომოს. იგივე "დოიჩე ბანკის" ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ერაყში რეჟიმის შეცვლა ზოგიერთი ხელშეკრულების გაუქმებას კი გამოიწვევს, მაგრამ მთლიანობაში დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, რადგან გადატრიალებების შემდეგ რეჟიმები იცვლება, მაგრამ ბიუროკრატია ადგილზე რჩება ხოლმე და ადრედ-ადრედული კონტრაქტების გაუქმება თითქმის არ ხდება.

თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის რუსი მენავთობეები ახლა სერიოზულად მუშაობენ პუტინთან, რათა ამ უკანასკნელმა ვაშინგტონისათვის ერაყზე დარტყმისათვის მხარდაჭერის სანაცვლოდ თავისი კომპანიებისათვის გარანტიები მიიღოს. "ლუკოილის" შეფმა ვაგიტ ალექპეროვმა განაცხადა, რომ ასეთი გარანტიები ამერიკისგან უკვე მიღებულიცაა და ახლა რუსი მენავთობეები უკვე ერაყელ ბიუროკრატებს ეკურკურებიან თავიანთი ინტერესების დასაცავად გაურკვეველ მომავალში.

ვენესუელის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ყოფილი თავკაცი ლუის ხიუსტი კი თავისი ქვეყნის გამოცდილებას იხსენებს. თავისი საარჩევნო კამპანიის დროს ახლანდელი პრეზიდენტი უგო ჩავესი იფიცებოდა, რომ ხელისუფლებაში მისვლისთანავე გააუქმებდა ძველი მთავრობის მიერ უცხოურ ნავთობკომპანიებთან დადებულ კონტრაქტებს, რომელთაც ვენესუელელი ხალხისათვის "დისკრიმინაციული" იყო. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩავესმა მსგავსი ვერაფერი გაბედა.

არც იმის თქმა იქნება მართალი, რომ ამერიკის ერაყული "შავი ოქროს" თუნდაც ნაწილი დარჩება. მაგრამ ჰუსეინის ბოლოდროინდელი მანევრები ცხადზე უცხადესს ხდის, რომ აშშ-ს მენავთობეებს უზარმაზარი ბარიერების გადალახვა მოუწევთ და მკვდარმა ჰუსეინმა მათ შეიძლება კიდევ უფრო დიდი პრობლემები შეუქმნას, ვიდრე ცოცხალმა.

ქართული „დოუ ჰონსი“ უცხოელს არ იზიდავს

გვანცა კვინიკაძე

საინვესტიციო ბანკი „გალთ ენდ თავართ სექიურიტის“ (გთს) უკვე მეორე წელია, ქართული კომპანიების „Blue Chip“ საბირჟო ინდექსს აწარმოებს. ჯერჯერობით, ერთადერთი ქართული ინდექსი იმავე კრიტერიუმების მიხედვით დგება, რითაც მსოფლიოში ცნობილი საბირჟო ინდექსები. ეს კრიტერიუმებია: კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია, ლიკვიდურობა და ზრდის პერსპექტივა.

ამჟამად, გთს-ს ინდექსში, სულ ათი კომპანია: „საქართველოს ბანკი“, „გაერთიანებული ქართული ბანკი“, „ყაზბეგი“, „რუსთავეცემენტი“, „ბაგრატიონი 1882“, „ეი-ი-ეს თელასი“, უნივერსალი „თბილისი“, „საქქალაქმშენპროექტი“, ჩარხმშენებელი ქარხანა და თამბაქოს ფაბრიკა „ქართლი“ შედის. ეს საკმაოდ მცირე რაოდენობაა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 280-მდე ქართული კომპანიის აქციებია სავაჭროდ დაშვებული. თუმცა, გთს-ს ანალიტიკოსის, ლექსო ლიპარტელიანის განცხადებით, ქართული კომპანიების ზოგადი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ ათის არჩევაც საკმაოდ რთულია. ლიპარტელიანის თქმით, გთს ინდექსის შედგენისას მეტ უპირატესობას კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციას (აქციათა რაოდენობის ნამრავლი მათ ლიკვიდურობაზე) ანიჭებს. „შესაძლოა, კომპანია ლიკვიდური იყოს და პერსპექტიულიც, მაგრამ თუ მისი საბაზრო კაპიტალიზაცია მცირეა, სერიოზული ინვესტორი მისით არ დაინტერესდება“, - მიაჩნია გთს-ს ანალიტიკოსს. ამიტომ, გთს-ს ინდექსში მოხვედრილი ათი კომპანიიდან არც ერთის საბაზრო კაპიტალიზაცია არ არის მილიონ ლარზე ნაკლები. ამ მხრივ, „ეი-ი-ეს თელასი“ ლიდერობს 40.5 მილიონი ლარით, ხოლო აუტსაიდერი თამბაქოს ფაბრიკა „ქართლი“ დაახლოებით, 1.1 მილიონი ლარის კაპიტალიზაციით. ზოგადად, საბირჟო ინდექსის შედგენისას კომპანიის აქციათა ლიკვიდურობა მეტად მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, მაგრამ, სამწუხაროდ, გთს-ს „საუკეთესოთა ათეულში“ შემავალი კომპანიების უმეტესობა მას ვერ აკმაყოფილებს და ინდექსში ადგილის დამკვიდრებას, ძირითადად, სწორედ საბაზრო კაპიტალიზაციას ან ზრდის პერსპექტივას უმაღლის.

ლიკვიდურობის მხრივ რომ ქართულ კომპანიებს სერიოზული პრობლემები აქვთ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საფონდო ბირჟაზე დაშვებული 280 კომპანიის ფასიანი ქაღალდიდან, ნახევარზე არც




ვაჭრობა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

კომპანია	კოდი	რეკომენდაცია	ფასი (ლარი)	ცვლილება (%)		შედეგის თარიღი	ბიზნესი (ლარი)	კაპიტალიზაცია (ლარი)	თავისუფალი მარჟის პროც (%)	GTBCI წინ (%)	
				კვირის	წლის განმავლობაში						
ეი-ი-ეს თელასი	AEST	კაფა	0.50	0.0	-50.0	15-09-02	0	40,573,943	0.1	0.1	
საქართველოს ბანკი	GEB	აბიუნი კაფა	1.33	0.0	-58.4	3-06-02	0	13,310,000	47.6	25.9	
კავშირბუნების ქართული ბანკი	UGB	კაფა	0.60	0.0	-14.3	19-06-02	0	12,600,000	38.6	19.9	
ჩარხმშენებელი ქარხანა	CHAR	რეკ. ვარჯ	7.56	0.0	9.3	21-06-02	0	11,649,559	62.3	29.7	
ბაგრატიონი 1882	BAGR	კაფა	1.00	0.0	0.0	10-06-02	50,952	7,413,585	5.2	1.6	
ყაზბეგი	KAZB	ფაფა	2.50	0.0	0.0	18-06-02	0	7,000,000	42.7	12.2	
უნივერსალი თბილისი	UTB	კაფა	2.00	▼	-7.9	99.8	1-06-02	1,299	3,928,128	35.5	5.7
საქქალაქმშენპროექტი	SQMP	კაფა	6.60	0.0	46.7	26-06-02	0	1,637,915	58.6	3.9	
რუსთავეცემენტი	RUCE	ფაფა	1.00	0.0	-75.0	5-06-02	0	1,580,959	10.3	0.7	
თბილისის რაიონის ფასიანი ქაღალდი	TTFQ	რეკ. ვარჯ	1.00	0.0	0.0	27-06-01	0	1,038,900	3.2	0.1	
სულ								52,251	100,732,990		100

GTBCI ინდექსი (GEL) & სსს სავაჭრო მოცულობა (GEL მლნ)



ერთი ვაჭრობა არ შემდგარა. მაგალითად, „ყაზბეგი“, „ბაგრატიონი 1882“ და „რუსთავეცემენტი“ გთს-მ ინდექსში მათი პერსპექტიულობის გამო შეიყვანა. გთს-ს ანალიტიკოსის შეფასებით, ეს ის კომპანიებია, რომლებსაც ბაზარზე საკუთარი ადგილი უკვე მოპოვებული აქვთ. უფრო მეტიც, „ყაზბეგი“ და „რუსთავეცემენტი“ მონოპოლისტებადაც კი არიან აღიარებული. „ბაგრატიონი 1882“-ის მიმზიდველობას ლიპარტელიანი, ბაზარზე მნიშვნელოვანი წილის არსებობის გარდა, მასში ამერიკელი ინვესტორების ყოფნითაც ხსნის. რაც შეეხება „რუსთავეცემენტს“, ლიპარტელიანის აზრით, ამ კომპანიის მიმზიდველობა საგრძობლად გაიზრდება, თუ იგი გარკვეულ ფუნქციას მილსადენების პროექტების განხორციელებისას შეიძენს და ქვეყანაში არსებული სამშენებლო ბუმის უფრო აქტიური მონაწილე გახდება.

ამ ფონზე, გაცილებით მიმზიდველად გამოიყურება „საქართველოს ბანკი“ და „გაერთიანებული ქართული ბანკი“.

ისინი საბაზრო კაპიტალიზაციის მიმართ არსებულ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებენ და მათი აქციებზე საკმაოდ ხშირად იდება გარიგებები, ანუ ისინი საკმაოდ ლიკვიდურია. გარდა ამისა, ამ კომპანიების აქციონერები სოლიდური საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები არიან და მათი განვითარების პერსპექტივაც საკმაოდ პროგნოზირებადია. თუმცა, გთს-ს ინდექსის უდავო ფავორიტი მაინც „საქართველოს ბანკია“, რომლის აქციებზე გარიგებები, თითქმის ყოველ სავაჭრო სესიაზე იდება.

გთს-ს ანალიტიკოსის აზრით, საქართველოს საფონდო ბირჟა, ისევე, როგორც, მთლიანად ეკონომიკა ბევრს კარგავს იმის გამო, რომ უამრავი ქართული კომპანია საერთოდ არ არის წარმოდგენილი ბირჟაზე. გთს-ს მიერ სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით შედგენილ ქართულ კომპანიათა Top-50-დან მხოლოდ 14-ის აქციები ბრუნავს ბირჟაზე, დანარჩენები არასაჯარო კომპანიებად მიიჩნევა. გთს-ს Top-50-ში საქართველოს, პრაქტიკულად ყველა კომერციული ბანკი მოხვდა. ლიპარტელიანის შეფასებით, „თიბი-სი ბანკისა“ და „მიკროსაფინანსო ბანკის“ აქციები, ბირჟაზე მოხვედრის შემთხვევაში, ისევე მაღალლიკვიდური იქნებოდა, როგორც ამჟამად „საქართველოს ბანკის“ აქციებია. Top-50-ში ასევე შევიდა: სადაზღვევო კომპანია „აღდაგი“, „ჯეოსელი“, „მაგთიკომი“, ახალი ქსელები, ელექტროკავშირი, საქართველოს ტელეკომი, „ჯორჯია ონლაინი“, „სანეტი“ „რუსთავი 2“, „აიეტი TV“, „აზოტი“, „აირზენა-საქართველოს ავიაცია“, ფოთის პორტი, „კანარგო სტანდარტ ოილი“, „საქგაზი“, „საქნავთობი“, სასტუმრო „თბილისი“, „საქართველოს თამბაქოს წარმოება“, „სანტე უოლშ პროექტები“, „კოკა-კოლა“, GG&MW, GWS, „კასტელ ჯორჯია“ და „ვობი“. ლიპარტელიანის თქმით, ეს ის კომპანიებია, რომელთა აქციები საფონდო ბირჟაზე სერიოზული ინტერესის საგანი გახდებოდა. სამწუხაროდ, ამჟამად თავად ეს კომპანიები, ნაკლებად არიან დაინტერესებული საჯარო კომპანიებად გარდაქმნაში. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, გთს-ს ანალიტიკოსი საქართველოში არსებული მენეჯმენტის ფორმას ასახელებს, რომელიც ბიზნესის ჩრდილოვანების დაფარვას გაცილებით წარმატებით ახერხებს, ვიდრე ეს საქმიანობის საჯაროობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. გთს-ს ინფორმაციით, ორ-სამ წელიწადზე ადრე, არც ერთი ზემოჩამოთვლილი კომპანია საჯარო კომპანიად გარდაქმნას არ გეგმავს.

ყველაფერი საქართველოში ფასიანი ქალაქების შესახებ

მიხეილ ჭიბუჭი

ფასიანი ქალაქების
იროვნული კომიკის
თავმჯდომარე

საქართველომ 1991 წელს დამოუკიდებლობა აღადგინა. ეს იყო ერის მიერ დამოუკიდებლად სახელმწიფოებრიობის წარმართვის უფლების აღდგენა. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოს, ის ამ დროისათვის თავიდან იყო შესაქმნელი. საქართველოს სახელმწიფოებრიობა მთლიანად იყო ნაშლილი, თუ არ ჩავთვლით 1918-1921 წლების გამოცდილებას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში არსებული საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა იყო კვაზი – ცრუ სახელმწიფო წარმონაქმნი. მას არ ჰქონდა ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძვლები და სისტემა. მისი ტერიტორია, რესურსები, წარმოება მთლიანად იყო ინტეგრირებული დიდი იმპერიის სახელმწიფო სხეულში. საბჭოთა საქართველოს არ გააჩნდა ავტონომიური ფულადი, საკრედიტო, საბაზრო და სხვა სისტემები. საქართველოს სახელმწიფო თავიდან უნდა შექმნილიყო. მას უნდა მოეხდინა ქვეყნის დაბრუნება საბჭოთა ექსპრიმენტისგან ბუნებრივ განვითარებაზე. ერთი მხრივ, დაეძლია ისეთი ხელოვნური სამეურნეო ფორმები და მოვლენები, როგორც იყო კოლმეურნეობა, სოცმეჯიბრი, საკოლმეურნეო ბაზარი, კერძო საკუთრების აკრძალვა... და მეორე მხრივ, უნდა შეექმნა ცივილიზებული მსოფლიოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი გარემო ეკონომიკის განვითარებისათვის. ეს ამოცანა კიდევ უფრო დიდი პრობლემების გადაწყვეტას ითხოვდა (და ითხოვს გარდაქმნების ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ დღესაც). უნდა განხორციელებულიყო ცენტრალიზებული ეკონომიკის დემონტაჟი, რაც, პრაქტიკულად, ეკონომიკაში ყველაფრის შეცვლას ნიშნავდა – დანაშაულები ეკონომიკური შეხედულებით, სანარმოთა ურთიერთობებითა და დამთავრებული ბუღალტერიით, საგადასახადო სისტემით. შეიცვალა სახელმწიფოს როლი ვაჭრობაში, ეკონომიკაში, ადამიანებთან მიმართებაში... დიდ რეფორმებსა და გარდაქმნებს, მით უმეტეს თუ მას რევოლუციური ტემპი მოსდევს თან, დიდი სოციალური ხარჯი აქვს. ასეც მოხდა. ადამიანების დიდი ნაწილი, მისი ყველა ფენა და ფაქტობრივად, ყველა ოჯახი დადგა ახალი რეალობის წინაშე: შეიცვალა არა მარტო ეკონომიკური სისტემის ელემენტები, არამედ თავამის წესები, ცხოვრების წესები. გაჩნდა ისეთი ელემენტები, რომელიც მათ წინა, საბჭოთა ცხოვრებაში რალაც აბსტრაქტულად აღიქმებოდა. მოხდა ისეთი საქმიანობის ლეგალიზება, რომელიც მათ წინა, საბჭოთა ცხოვრებაში დასჯადი კრიმინალი იყო. ასეთ მოვლენებს შორისაა ბირჟები, აქციები, მათი ყიდვა-გაყიდვა, მიწე-



მიხეილ ჭიბუჭი

ბის კერძო მესაკუთრეობა, კერძო საპარაკმახერეობი და ასე შემდეგ. სპეკულაციის, ან ვალუტით ვაჭრობის პროფესიულ საქმიანობად წარმოდგენა ხომ არავის შეეძლო. მართალია, საბჭოთა კავშირის ღობის იქით ეს ყველაფერი არსებობდა, მაგრამ ათწლეულობით იდეოლოგიური ზეწოლის შედეგად, ბევრი რამ წარმოუდგენელი ჩანდა. ახალმა თამაშის წესებმა გამოიწვია ადამიანებში დიდი დაბნეულობა, ე. წ. "ემიგრანტის ეფექტი". თითქოს ყველაფერი ნაცნობია – გარემოც და ადამიანიც, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად ხდება. ახალ გარემოში ცხოვრებასთან მორგება ბევრს გაუჭირდა. ბევრმაც დიდი შეცდომა დაუშვა. უმრავლესობა კი იქიდან მომდინარეობს, რომ არ არის საკმარისი ცოდნა და ინფორმაცია, არ არის საკმარისი მოვლენათა სამართლებრივი რეგულირება და ღიაობა. ერთ-ერთ ასეთ სფეროს განეკუთვნება ფასიანი ქალაქების ბაზარი. მის სიმბოლოდ შეიძლება გამოდგეს ნიუ-იორკის ბირჟა. უამრავი ინფორმაცია მასზე და თითქმის ყველას აქვს წარმოდგენილი მისი არსებობის მასშტაბები. რა მოვლენაა ეს? არის ის ჩვენთან, თუ მომავალში გაჩნდება? ხომ არ გველის ჩვენ კიდევ სხვა, ამ ცხოვრების იქით, სხვა ცხოვრება დედამიწაზე?

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი თაობის (მეოცე საუკუნის თაობის) ადამიანებს ამ ქვეყანაზე კიდევ მოუწევთ ახალი ცხოვრების განცდა. ეს აღარ იქნება შეხვედრა წარსულთან... ცხოვრების ამ ნაწილში სრულიად განსაკუთრებულ როლს დაიჭერს ფასიანი ქალაქების ბაზარი.

2002 წლის მარტიდან ჩემი სამსახურეობრივი საქმიანობით დაუკავშირდი საქართველოში ფასიანი ქალაქების ბაზრის ფუნქციონირებას. ამ ხნის განმავლობაში აშკარად დავინახე,

რომ მასობრივი ცნობიერება ქვეყანაში აღნიშნულ მოვლენას ან საერთოდ არ აღიქვამს, ან არაადაქტუალურად აღიქვამს და ეს მაშინ, როდესაც პიროვნება შეიძლება იყოს ამ ბაზრის უშუალო მონაწილე ან როგორც აქციონერი, ან როგორც სააქციო საზოგადოების მუშაკი. ნათქვამიდან გამომდინარე, აშკარად დავინახე იმის საჭიროებაც, რომ ფასიანი ქალაქები ბაზრის ფუნქციონირების საკითხებში ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა მკითხველისთვის და ამ მიზნით გადავწყვიტე სტატიების სერიის გამოქვეყნება საქართველოში ფასიანი ქალაქების ბაზრის ფუნქციონირებასთან, მის მონაწილეობასთან, სახელმწიფოს მხრივ ამ სფეროს რეგულირებასთან, წარმატებებთან, შეცდომებთან და მომავლის პერსპექტივებთან დაკავშირებით.

ფასიანი ქალაქების ბაზრის არსი

ფასიანი ქალაქების ბაზარი საბანკო სესხების (კრედიტის) ბაზართან ერთად ქმნის ფინანსურ ბაზარს. საბანკო სესხებისაგან განსხვავებით, ფასიანი ქალაქები მსესხებლისათვის უფრო ხანგრძლივი ვადით ფულის მიღების საშუალებას წარმოადგენს. ფასიანი ქალაქების სახით ფული შეიძლება რამდენიმე ათწლეულით იქნეს მიღებული თუ საქმე ეხება ობლიგაციებს. ხოლო თუ აქციებთან გვაქვს საქმე, მაშინ ფულის გამოყენება საერთოდ უვადოა. საბანკო კრედიტი და ფასიანი ქალაქების ბაზარი არ არის ერთმანეთისგან მკვეთრად გამოიჯნული. პირიქით, მათ შორის სერიოზული კავშირ – ურთიერ-
ბაზრძალვა EIO გვირდო

გლოსარიუმი

აქცია – ნილობრივი ფლობის სახით წარმოდგენილი კორპორაციული საკუთრება, რომელსაც ამ კორპორაციის შემოსავალსა და აქტივებზე უფლებები გააჩნია. ჩვეულებრივი აქციები აქციონერს აძლევს უფლებას, რომ მონაწილეობა მიიღოს ფირექტორების არჩევაში და იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც განხილვა ხდება აქციონერთა კრებაზე.

საფონდო ბირჟა - ფასიანი ქალაქების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, უზრუნველყოფს ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

შეიღობილი კომპანია – იურიდიული კორპორაციული უწყება, რომლის აქციათა მინიმუმ 51 პროცენტს ფლობს სხვა კომპანია და რომლის ანგარიშები შეიძლება კონსოლიდირებული იყოს მშობელი კომპანიის ანგარიშებთან.

სამეთვალყურეო საბჭო – სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს მენეჯმენტის გადაწყვეტილებებს და მთლიანად კომპანიასა და დირექტორებს ზედამხედველობას უწევს. ზედამხედველთა საბჭოს ირჩევენ აქციონერები და ის არ არის დაკავებული კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების მართვით.

სინდიკატი - ფინანსისტთა, ან სხვა პირთა ასოციაცია, რომელიც დაჯგუფდნენ გარკვეული ბიზნესის განხორციელების მიზნით, მაგალითად ისეთის, როგორცაა ფასიანი ქალაქების ახალი ემისიის განთავსება.

გამჭვირვალობა – 1. კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია დროულად გამოაქვეყნოს ყველა საჭირო ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ, რათა, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ინვესტორს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. 2. საინვესტიციო ფონდის ყოველგვარ საქმიანობათა შესახებ ანგარიშის სწრაფი წარდგენა, არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

ემიტენტი – 1. ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც ექვემდებარება საჯარო ან კერძო სამართალს, და რომელიც ახორციელებს ფასიანი ქალაქების ემისიას. 2. სახელმწიფო, ადგილობრივი მთავრობის ან იურიდიული ორგანიზაცია, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს სანარმოთა რეესტრში და უფლებამოსილია გამოუშვას და უშვებს ფასიან ქალაქებს საკუთარი სახელით; ასევე უცხოური იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია, რომ გამოუშვას და უშვებს ფასიან ქალაქებს საკუთარი სახელით.

ინვესტორი – პირი, რომელიც, მოგების მიღების მიზნით, ფულს უქვემდებარებს რისკს; იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ინსტიტუციონალური.

საინვესტიციო ფონდი - ფირმა, რომელიც საკომისიოს (მენეჯმენტის საკომისიოს) საფასურად მცირე ინვესტიციებიდან მოზიდულ ფონდებს აბანდება ფასიან ქალაქებში. იგი მონაწილეს სთავაზობს მეტ დივერსიფიკაციას, ლიკვიდურობას და პროფესიონალური მენეჯმენტის მომსახურებას, ვიდრე ეს ხელმისაწვდომი იქნებოდა ცალკეული ინვესტორისათვის. 2. საქართველოში საინვესტიციო ფონდი ნიშნავს ერთ-ერთ შემდეგიდან: (ა) ემიტენტი, რომელიც ჩაბმულია ან აპირებს რომ ჩაება ინვესტირების, რეინვესტირებისა და ფასიანი ქალაქებით ვაჭრობის ბიზნესში, საკუთარი სახელით და არა როგორც ნომინალური მფლობელი და რომელსაც აქვს და აპირებს, რომ ჰქონდეს ან იძლევა იმედს იმისა, რომ ექნება საკუთარი აქტივების 50 პროცენტზე მეტი ფასიან ქალაქებში მომდევნო მიმდევრობითი პერიოდის, არანაკლებ ოთხი თვის განმავლობაში; (ბ) ემიტენტის ცალკე ანგარიში, რომელსაც მართავს ემიტენტი იმ პირების სასარგებლოდ, რომელთაც გააჩნიათ ანგარიშში მონაწილეობის პაიები; ჩაბმულია ფასიანი ქალაქების ინვესტირების, რეინვესტირებისა ან ვაჭრობის ბიზნესში; და აქვს ან ექნება ფასიან ქალაქებში მისი აქტივების 50 პროცენტზე მეტი.

საინვესტიციო კონტრაქტი – 1. კონტრაქტი, რომლის საფუძველზე ინვესტორი მეორე პირს გადასცემს ფონდებს ან სხვა ქონებრივ უფლებებს. 2. ნერილობითი კონტრაქტი, რომლის საფუძველზე ინვესტორი, სხვა ინვესტორებთან ერთად, ფონდებს ან სხვა საკუთრებას გადასცემს სხვა პირს შემოსავლის, ან საბაიო საინვესტიციო ფონდიდან წილის მიღების პირობით სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირების განსახორციელებლად.

სესხი – გარიგება, რომლის თანახმად საკუთრების მფლობელი, კრედიტორი, უფლებას აძლევს მსესხებელს, ისარგებლოს მისი საკუთრებით. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ამ ქონების დაბრუნება, გარკვეული დროის შემდეგ, შესაბამისი ანაზღაურების, პროცენტის, გადახდით.

წყარო: **კაპიტალის ბაზრის ინდუსტრიის განმარტებითი ლექსიკონი**

გლოსარიუმი

“ბლუ ჩიპი” (Blue Chip) – 1. კომპანია, რომელიც ფართოდ არის ცნობილი საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, “ფულის კეთებისა” და დივიდენდების გადახდის უნარით. 2. იმ ფართოდ ცნობილი მოგებიანი კომპანიის ჩვეულებრივი აქცია, რომელსაც გააჩნია მაღალხარისხოვანი მენეჯმენტის, პროდუქციისა და მომსახურების რეპუტაცია. ასეთი აქციები, ჩვეულებრივ, შედარებით მაღალი ღირებულებისაა და ზომიერი (საშუალო) დივიდენდის შემოსავლიანობით ხასიათდება.

ობლიგაცია - ემიტენტი კომპანიის ან მთავრობის იურიდიული ვალდებულება ძირითადი სესხის გადახდაზე ობლიგაციების ინვესტორებისთვის დადგენილ ვადაში. ემიტენტი ვალდებულებას იღებს, რომ გადაიხადოს ნასესხები თანხის ნომინალური ღირებულების გარკვეული პროცენტული რაოდენობა სესხის პროცენტის სახით. პროცენტის გადასახადი ემისიისას აღინიშნება ობლიგაციაზე. ფასიანი ქაღალდი, რომელიც კომპანია იღებს ვალდებულებას, მფლობელს გადაუხადოს დადგენილ ვადაში გარკვეული თანხა. ობლიგაციებს არ გააჩნია ხმის თუ კომპანიის დივიდენდებში მონაწილეობის უფლება. ობლიგაციებს უშვებენ კომპანიები და სამთავრობო ერთეულები: სააგენტოები, დეპარტამენტები. ვადის ხანგრძლივობა სხვადასხვაა.

ბროკერი – 1. ფიზიკური პირი, რომელიც მისი საბროკერო კომპანიის დამკვირვებლის სახელით ასრულებს გარიგებებს ფასიანი ქაღალდებით და/ან სხვა მონათესავე მომსახურებას გასწევს. 2. აგენტი, რომელიც ასრულებს საჯარო შეკვეთებს ფასიანი ქაღალდების, საქონლის ან სხვა საკუთრების ყიდვასა და გაყიდვასთან დაკავშირებით, საკომისიო შემოსავლის მიღების მიზნით.

კაპიტალიზაცია – კორპორაციის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მთლიანი თანხა. კაპიტალიზაცია შეიძლება მოიცავდეს ობლიგაციებს, არაუზრუნველყოფილ სასესხო ვალდებულებებს, პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციებსა და ჭარბ კაპიტალს. ობლიგაციები და არაუზრუნველყოფილი სასესხო ვალდებულებები, ჩვეულებრივ, შეტანილია ემიტენტი კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის ნიგნებში, მათი ნომინალური ღირებულებით. პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციები შეიძლება შეტანილი იქნას ამ ნიგნებში მათი ნომინალური ან გამოცხადებული ღირებულებით. გამოცხადებული ღირებულება შეიძლება იყოს პირობითი რიცხვი, რომელზეც შეთანხმდებიან დირექტორები, ან შეიძლება წარმოადგენდეს იმ თანხას, რომელსაც კომპანია მიიღებს ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შედეგად.

დისკონტი - 1. სხვაობა ფასიანი ქაღალდში გადახდილ ყველაზე დაბალ ფასსა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის. 2. სხვაობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ნომინალურ ღირებულებასა და მის საბაზრო ფასს შორის, რომელიც ნაკლებია ნომინალურ ღირებულებაზე.

დივიდენდი – კორპორაციის შემოსავლის განაწილება აქციონერებისთვის. დივიდენდს შესაძლოა ჰქონდეს ნაღდი ფულის, აქციის ან საკუთრების ფორმა. დივიდენდის ოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებს (დირექტორთა საბჭო) სამეთვალყურეო საბჭო.

ლისტიანი - ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება საფონდო ბაზარზე. საქართველოს საფონდო ბირჟაზე ლისტირებული და არა ლისტირებული იარუსები, სადაც კომპანიები, ლისტირებულ იარუსებში, ექვემდებარება უფრო მკაცრ წესებს და ინვესტორების ინტერესები უფრო მეტად არის დაცული.

კოტირება – 1. ყველაზე მაღალი შეთავაზება ფასიანი ქაღალდის ან საქონლის ყიდვაზე და ყველაზე დაბალი შეთავაზება მათ გაყიდვაზე. 2. ფასიანი ქაღალდის ყიდვაზე ან გაყიდვაზე შეთავაზების ფასები მომენტისთვის.

რეგისტრატორი – ორგანიზაცია, რომელიც ემიტენტი კომპანიებისაგან დამოუკიდებლად, აწარმოებს ობლიგაციების და აქციების მფლობელების შესახებ ჩანაწერებს და მათი კუთვნილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობათა ოფიციალურ სიას.

აქტივები – კორპორაციის საკუთრება ან რაც მისი მართებთ; ფულად სახსრებს, ინვესტიციებს, კომპანიისათვის გადასახდელ ფულს, სანარმოო მასალებს, სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ეწოდება – მიმდინარე აქტივები, შენობა-ნაგებობებს, მანქანა-დანადგარებს – ძირითადი საშუალებები, პატენტებსა და “გუდივებს” – არამატერიალური აქტივები.

გუდივილი - 1. ბიზნეს ფაქტორებზე დანესებული ფულადი ღირებულება, რომელიც შემდგომში მოსალოდნელია, გადაიხადოს ჩვეულებრივზე უფრო დიდ სამშემოსავლო ძალად. ამის მაგალითებია, სოლიდური საქმიანი რეპუტაცია, კლიენტთან კარგი ურთიერთობები ან თანამშრომელთა მაღალი სამუშაო განწყობა გუდივილი არამატერიალურ აქტივად ითვლება. 2. არამატერიალური აქტივი, რომელიც აღრიცხულია კომპანიის ბუღალტრულ ნიგნებში და რომელიც წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლითაც შესაძლებელია შეაფასებს კომპანიის წმინდა აქტივებს, რაც აღემატება მათ საბალანსო ღირებულებას.

წყარო: კაპიტალის ბაზრის ინდუსტრიის განმარტებითი ლექსიკონი

ყველაფერი საქართველოში ფასიანი ქაღალდების შესახებ

მაცხრა გვარდიანა

თობაა. შეიძლება ითქვას, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი ავსებს საბანკო კრედიტის სისტემას. კომერციული ბანკების კრედიტებით ხშირად სარგებლობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის აგენტები. ამასთან, კომერციული ბანკები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა აქტივობით, მაგრამ მონაწილეობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში. ევროპის ბევრ ქვეყანაში კომერციული ბანკები ასრულებენ შუამავალ ფუნქციებს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. საქართველოში კომერციული ბანკები უშუალოდ არ მონაწილეობენ ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე. თუმცა, ისინი აქ მონაწილეობენ მათ მიერ შექმნილი საბროკერო ფირმების მეშვეობით.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე იყიდება არა მარტო აქციები და ობლიგაციები, რომლებიც წარმოადგენენ ევრეთნობულ კორპორაციულ ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული ქაღალდების ემიტენტები (გამომშვებნი) არიან საქციო საზოგადოებები. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტებს, ანუ ცენტრალური და ადგილობრივ ხელისუფლებათა ვალდებულებებს. ამ ტიპის ვალდებულებებიდან მიმოქცევაშია მოკლევადიანი ვალდებულებები, ძირითადად სახაზინო ვალდებულებები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დანაზოგების გადაქცევა ინვესტიციებად. ინვესტიციებს ღებულობს კერძო ბიზნესი და მთავრობა. ინვესტორებად, კერძოებრებად გამოდის მოსახლეობა და კერძო სექტორი, რომელთაც აღმოაჩნდათ დანაზოგი. მოსახლეობა ინვესტიციებს ახორციელებს, ძირითადად, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. ინდივიდუალური მენარმეები ასევე თავიანთ დანაზოგებს წარმართავენ მცირე ბიზნეს ობიექტების მშენებლობაში. თუმცა, საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, მცირე ინვესტორების, მოსახლეობის დიდი ნაწილი მიმართავს აქციების შესყიდვას. ამით ის, ერთი მხრივ, განათავსებს თავის დანაზოგებს, ახდენს ინვესტიციას და მეორე მხრივ, თავიდან იშორებს ამ ინვესტიციების მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რისკებს. დანაზოგების გადაქცევა ინვესტიციებად ხდება იმ ფასად, რომელიც აწყობს ორივე მხარეს და აღნიშნული ფასი ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. ფასიანი ქაღალდები, როგორც ითქვა, ესაა აქციები, ობლიგაციები და მათგან წარმოებული სხვა ფასიანი ქაღალდები.

აქციებს უშვებს სააქციო საზოგადოებები (ხშირად მათ კორპორაციებს უწოდებენ). აქციების გამოშვება ეს არის

კორპორაციების შექმნის საშუალება. აქციების გამოშვებით კორპორაციები იკრებენ ფინანსურ ძალას დასახული პროექტის განსახორციელებლად. ვთქვათ, საინიციატივო ჯგუფმა დაისახა ხიდი აგება. მათ არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები. ისინი უშვებენ აქციებს, იზიდავენ თანხებს და აშენებენ ხიდს. ყველა აქციის მფლობელს, ამ ხიდის ექსპლუატაციის შემდეგ, ეკუთვნის მოგებიდან წილი ანუ დივიდენდი იმ ოდენობით, რამდენიცაა მისი აქციის წილი საერთო თანხაში, ინვესტიციაში. აქციის მფლობელს, დივიდენდის გარდა, აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა კორპორაციის მართვაში.

ობლიგაციას უშვებს როგორც კორპორაცია, ისე მთავრობა.

ობლიგაციის გამომშვები იღებს ვალდებულებას, რომ გარკვეული დროის შემდეგ გადაიხდის როგორც ვალს, ისე პროცენტს. ეს პროცენტი სხვა არაფერია თუ არა იგივე მოგება სესხის გაცემისათვის, ოღონდ ერთი განსხვავებით. დივიდენდისაგან განსხვავებით, პროცენტი ობლიგაციაზე შედარებით უცვლელი სიდიდეა. ამიტომაც ობლიგაცია ესაა ფასიანი ქაღალდი ფიქსირებული შემოსავლით.

მიმზიდველობა ინვესტირებისათვის ობლიგაციასა და აქციას სხვადასხვა აქვს. ობლიგაცია უფრო იცავს რისკებისაგან ინვესტორს. განსაკუთრებით, ეს ეხება სახელმწიფო ობლიგაციებს, სადაც გარანტიორი არის სახელმწიფო მთელი თავისი ეკონომიკური ძალით. აქციები იძლევა სწრაფად დიდი მოგების მიღების საშუალებას, თუმცა აქ ფინანსური დანაკარგების რისკიც მეტია.

არსებობს სხვა ფასიანი ქაღალდებიც, მაგალითად, ოფციონები, ფიუჩერული კონტრაქტები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდები და სხვა. ისინი მიმზიდველი არიან ზოგი ინვესტორისათვის მათში მოცემული სპეკულაციური შესაძლებლობებით, ზოგისთვის კი სპეცილური დანიშნულებით.

განსაკუთრებით საიმედოა სახელმწიფო ობლიგაციები და სახაზინო ბილეთები, შემდეგ კი კორპორაციების ობლიგაციები. საქართველოს სინამდვილეში ნდობის დეფიციტი დიდია ფასიანი ქაღალდების მიმართ. ჯერ ერთი, ძირითადი მასა საქციო საზოგადოებებისა, მათთვის მოულოდნელად, პოლიტიკური ნების გამო შეიქმნა. არსებობდა ხიდი (თუ ჩვენს მაგალითს დავუბრუნდებით) და შემდეგ ჩამოყალიბდა საქციო საზოგადოება და შემდეგ განისაზღვრა აქციონერები. საქციო საზოგადოებათა უმრავლესობა შეიქმნა პრივატიზების გზით. დღეს საქართველოში 1759 საქციო საზოგადოება და 500 000 –მდე აქციონერია. მათი აქციების ნომინალური ღირებულება 600 მლნ. ლარზე მეტია. სახელმწიფო ზედამხედველო-

ბის სფეროშია მოქციული 400-მდე საქციო საზოგადოება, რომელთაც ან 100 – ზე მეტი აქციონერი ჰყავთ ან რომლებიც თავიანთ ფასიან ქაღალდებს ჰყიდიან ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე. ნღების განმავლობაში ამ საზოგადოებათა 70%-80% არ გასცემს დივიდენდებს, ანუ ისინი არ ატარებენ აქციონერთა მთავარი მოტივის – მოგების მიღების ინტერესს. აქციონერები საქართველოში, ძირითადად, წვრილ აქციონერებს წარმოადგენენ და მათი უფლება მიიღონ მონაწილეობა კორპორაციების მართვაში გართულებულია. ჯერ ერთი, წვრილი აქციონერი თავისი ხმით ვერ წყვეტს საკითხებს კენჭისყრის დროს და მეორეც, მისი დანიტერესება და შესაბამისად, ხარჯები საქციო კრებებში მონაწილეობისათვის არ არის მოტივირებული.

საქართველოში საქციო საზოგადოებათა პრივატიზების გზით ჩამოყალიბების სპეციკამ გამოიწვია ისიც, რომ საქციო საზოგადოებები იშვიათად მიმართავენ აქციათა ემისიას, როგორც კაპიტალის მოზიდვის ფორმას. სანარმოთა ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის გამო ჩვეულებრივი – მესაკუთრის უფლებების განმსაზღვრელი აქციის გვერდით არ ხდება პრივილეგირებული – გარანტირებული შემოსავლის მქონე აქციის ემისია (გამომშვება). დაბალია საქართველოში სახაზინო ვალდებულებების გამოყენებაც ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით. სახაზინო ვალდებულებების ბაზარი სპეციფიკურია. მისი გამოშვება ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო პირველადი განთავსება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეროვნული ბანკისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიწარმოადგენენ ინსტრუმენტს საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ნდობის დაბალი ხარისხი, როგორც სახელმწიფო, ისე კორპორაციული ფასიანი ქაღალდებისათვის, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია აქციებისა და სახაზინო ვალდებულებების დაბალი ლიკვიდურობით, რაც ამ ტიპის ფასიანი ქაღალდებისათვის არ არის დამახასიათებელი. ლიკვიდურობა ესაა გაყიდვის შესაძლებლობა. რაც უფრო მაღალია ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობა, მით მეტია ინვესტიორებისათვის იმის მოტივი, რომ მათ თავიანთი დანაზოგები ამ ტიპის ქაღალდებში განთავსონ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციები არ წარმოადგენს უშუალოდ მყიდველსა და გამყიდველს შორის ჩვეულებრივ ყიდვა – გაყიდვის აქტს. ფასიანი ქაღალდების ბაზარს, როგორც ფინანსური მომსახურების სექტორს, ჰყავს მისი მონაწილეები. ესაა საფონდო ბირჟები, დეპოზიტარები, რეგისტრატორები, ბროკერები, დილერები. ამის შესახებ შემდეგ სტატიაში გვექნება მსჯელობა.

იქ, სადაც მხოლოდ დიდი სახელები და დიდი ინტერესები დარჩა

თორნიკე შარაშენიძე

სფერო, რომელსაც ამ სტატიაში შევხვებით, ალბათ ყველაზე პოპულარულია რიგით მოქალაქეებში, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ძნელადმოგებია მსოფლიო ბიზნესში. ეს არის ავტომობილები, რომელიც ბოლო დროს სერიოზულ კრიზისს განიცდის და რომლის გამოც ისეთი კომპანიები, როგორც "ფორდი" და "ფიატა", ლამის გაკოტრების პირას დგანან. ყოველივე ამას რამდენიმე მარტივი, მაგრამ სერიოზული მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, ეს გახლავთ გლობალური ეკონომიკის ჩაფარდნა, რის გამოსობითაც თვით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობა დაეცა და ავტომანქანებზე მოთხოვნილებამაც სერიოზულად იკლო. გარდა ამისა, სამანქანო ბაზარზე, ალბათ, ძალიან ბევრი მოთამაშეა და მათ შორის არნახული მეტოქეობა მიდის. ასეთ დროს კი სულ მცირე მოდუნება, ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომა და რაიმეს არასწორი გათვლა კი საკმარისია, რომ ესა თუ ის კომპანია მილიარდობით ნაგებებში გადავარდეს. ამგვარი ვითარება, უკვე რამდენიმე წელია, გვაქვს. "ნისანის" დარი კომპანიისათვის 1998 წელს საკმარისი გახდა რამდენიმე წარუმატებელი მოდელის გამოშვება, რომ ავტოგაიგანტი გაკოტრების ზღვარზე აღმოჩენილიყო. ასეთ დროს კომპანიები თავის გადასარჩენად გაერთიანებისაკენ ისწრაფიან ხოლმე. მაგრამ ავტომანქანებისათვის ეს მაინც ბოლო გამოსავლად ითვლება, რადგან სამანქანო ბაზარზე ახლა დიდი სახელები დარჩნენ, მათ კი დიდი ამბიციები გააჩნიათ, რომელშიც არა მხოლოდ საქმიანნი, არა მხოლოდ დინასტიური, არამედ ზოგჯერ ეროვნული ინტერესებიცაა ჩართული.

ავტომანქანების - ძირითადად, რამდენიმე ქვეყანას უყვრია ხელთ. ცხადია, უპირველესად ეს გახლავთ აშშ, რომელსაც ჰყავს "ჯენერალ მოტორზი" და "ფორდი" - გამოშვებული მანქანების რაოდენობის მიხედვით უდიდესი კომპანიები. შემდეგ მოდიან იაპონია და გერმანია. შემდეგ საფრანგეთი, შემდეგ კი, ალბათ, კორეა და ბოლოს იტალია. ცხადია, საკუთარი მანქანათმშენებლობა გაჩნიათ აგრეთვე ჩინეთსა და რუსეთს, მაგრამ ისინი თავიანთი ბაზრებისათვის თუ მუშაობენ და გლობალური მასშტაბით პრაქტიკულად არანაირი გავლენა არა აქვთ. ამიტომ ჩვენი სტატია ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ნამყვან ავტოკომპანიებს შეეხება. ალბათ, ყურადღებას მიაქცევდით, რომ ამ სახელმწიფოებში ვერ მოხვდა ბრიტანეთი. ამის მიზეზი მეტად მარტივია: ამ ქვეყანას საკუთარი წარმოება აღარ დარჩა. ბრიტანეთში კვლავაც გამოდის "როლს-როისი", "ბენტლი", "იაგუარი" თუ "ასტონ მარტი-



ნი," მაგრამ ისინი უცხოური კომპანიების - "ბეემვეს," "ფოლკსვაგენის," "ფორდის" - საკუთრებებია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავარი კი ისაა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეტად პრესტიჟული მარკებია, მათი წარმოება მეტად ძვირი ჯდება და თანამედროვე ბაზრის პირობებში მეტად ძნელია, კონკურენციას გაუძლო, როცა მხოლოდ ამ ერთობ შეზღუდულ სექტორზე მუშაობ. ბრიტანელებს მხოლოდ "როვერი" დარჩათ და ამასაც "ბეემვეს" შეცდომებს უნდა უმადლოდნენ.

ვინ იხიერა კრიზისებით

როგორც უკვე ვახსენეთ, ეს ბოლო წლებია, ავტოსამყაროში საგანგებო მდგომარეობაა შექმნილი და აქედან გამომდინარე, სფეროში დიდი ცვლილებებიც მოხდა. საერთოდ, 90-იანების ბოლო უდიდესი კორპორაციული გაერთიანებებით აღინიშნა და გამოწვევისი არც ავტოსექტორი ყოფილა. "დაიმლერ-ბენცისა" და "კრაისლერის" შერწყმა ეპოქალური მნიშვნელობისა იყო მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში (ამ გარიგებას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით). შედეგების საამაყო "ვოლვო" "ფორდის" ხელში გადავიდა, ბრიტანეთი თავის ბოლო სიამაყეს, "როლს-როისს" დაემშვიდობა... მნიშვნელოვან გარიგებას ჰქონდა ადგილი კორეაში. თუმცა, აქ ეს განაპირობა არა იმდენად

გამძაფრებული კონკურენციის პირობებში გაერთიანებისკენ სწრაფვამ, არამედ გაკოტრებებმა. კორეაზე უმძიმესი გავლენა იქონია აზიურმა კრიზისმა, ბევრი ადგილობრივი კომპანია გაკოტრდა და მათ შორის იყო "კია მოტორზი." ამ უკანასკნელზე ტენდერი გამოცხადდა, რომელშიც ბევრმა უცხოურმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გამარჯვება, საბოლოოდ, ადგილობრივ "ჰიუნდაის" დარჩა. ამ გარიგებას საკმაოდ მძიმე შედეგები მოჰყვა "ჰიუნდაისათვის." კომპანიას აშკარად გაუჭირდა "კიას" მონაწილეობა და მალე თავად დადგა გაკოტრების საფრთხის წინაშე. ამის თავიდან ასაცილებლად "ჰიუნდაის" ჯგუფში სერიოზული რეორგანიზაცია მოხდა. კერძოდ, საერთოდ ჩამოშორებული იქნა ზოგიერთი განყოფილება (საფინანსო, სამშენებლო), თუმცა, მთავარი ბიზნესი - მანქანები - ჯგუფმა შეინარჩუნა. საერთოდ, აზიურმა კრიზისმა კორეას, ერთის მხრივ, კარგი სამსახური გაუწია, რადგან 90-იანი წლების ბოლომდე ადგილობრივი ბიზნეს-მმართველობის წესები საკმაოდ ჩამორჩენილი გახლდათ. მართალია, კორეას მშვენივრად განათლებული მენეჯერები ჰყავდა, მაგრამ კომპანიებს, საბოლოო ჯამში, ოჯახური კლანების, ე.წ. ჩაებოლების წარმომადგენლები მართავდნენ. სწორედ ეს იყო "კიასა" და სხვა კომპანიების კრახის მიზეზი. ჩაებოლების პრინციპმა

იმსხვერპლა კიდევ ერთი კორეული ავტომანქანების "დეუცი," რომელიც, საბოლოოდ, ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში "ჯენერალ მოტორზმა." აღსანიშნავია, რომ "ჰიუნდაი მოტორზმა" "დეუჯე" გამოცხადებულ ტენდერშიც მიიღო მონაწილეობა - საამისოდ კომპანია "დაიმლერ-კრაისლერს" შეეკრა და მას თავისი აქციების 10 პროცენტზე მიჰყიდა, მაგრამ ამდენს ვეღარ გასწვდა და "დეუ" ამერიკული გიგანტის საკუთრებად იქცა, რომელთანაც ადრე მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა.

აზიურ კრიზისს ვერ გადაურჩა იაპონიაც. ამომავალი მზის ქვეყნის - სიდიდით მეორე, მწარმოებელი "ნისანი" იმდენად მძიმე დღეში აღმოჩნდა, რომ იძულებული გახდა, "რენოს" ხელში გადასულიყო. 90-იანი წლების დასაწყისში ასეთი რამის გაფიქრებისათვისაც კი იაპონელი, ალბათ, ჰარაკირის გაიკეთებდა. როგორ? იაპონიაში, სადაც მანქანა თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად მზადდება ვიდრე ევროპაში, ისე უნდა ნავიდეს საქმე, რომ იქაური ერთ-ერთი უდიდესი კომპანია უცხოელებმა ჩაიგდონ ხელში? თანაც, ფრანგებმა, რომელთაც დიდი კომპანიები, თითქმის არა აქვთ და რომელთაც თავიანთი სოციალიზმის გადამკიდე (იქ ხომ თითქმის ყველა კორპორაცია, მათ შორის "რენოც", სახელმწიფო საკუთრებაა), ბიზნესის თითქმის არაფერი გაგებათ? მაგრამ, საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ "ნისანი" სწორედ ამ "სამარცხვინო" გარიგებამ გადაარჩინა - "რენომ" იაპონელებს "ხარჯების მკვლელად" წოდებული კარლოს გოსნი ჩაუყენა სათავეში, რომელმაც ათეულობით ქარხანა დახურა, ათიათასობით თანამშრომელი გაყარა (იაპონიაში, სადაც ფეოდალური ტრადიციები კიდევ შემორჩენილია, ამის გაკეთება უფრო იოლია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში) და საბოლოოდ, "ნისანი" მოგებაზე აამუშავა. ახლა ეს კომპანია მომავლის, ჰიბრიდული მანქანების შექმნაზე მუშაობს "ტოიოტასთან" ერთად და ახალ მოდელებს გეგმავს. მოკლედ, "რენომ" ამ გარიგებით უდიდეს წარმატებას მიაღწია და საერთოდ, აზიური კრიზისით გვარიანად მოითხო ხელი, რადგან იმავე პერიოდში იაფად შეისყიდა "სამსუნგის" (კიდევ ერთი კორეული კომპანია) ავტომანქანები. უსაქმოდ არც თავად მშობლიური ფრანგული მარკა - "რენოები" წარმატებით იყიდება ცენტრალურ ევროპაში და აზიაში.

საფრანგეთში ბევრი ახლა "რენოსა" და "ჰუვო სიტროენის" გაერთიანებაზე ოცნებობს. თუკი ეს მოხდა, ქვეყანას მართლაც მძლავრი კონცერნი ეყოლება, რომელიც თვით დიდი ხუთეულიდან ("ჯენერალ მოტორზი," "ფორდი," "ტოიოტა," "დაიმლერ-კრაისლერი," "ფოლკსვაგენი") გამოდევნის ვინმეს. მონოპოლიები საფრანგეთისათვის

უცხო ნამდვილად არ არის, ასე რომ, შერწყმას არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი. "რენომ" თვით იაპონელებთან გამონახა საერთო ენა და ფრანგებს რატომ ვერ უნდა გაუგოს? მაგრამ ყველაფერი ჯერ მხოლოდ ცარიელ ვარაუდად რჩება, მითუმეტეს რომ, "ჰუვო სიტროენი" მარტოდაც დიდებულად მუშაობს. კომპანიის ახალმა მოდელმა "ჰუვო 206"-მა გაყიდვებით შარშან და წელს ევროპაში თვით "ფოლკსვაგენ გოლფს" აჯობა.

გერმანული ამბიციები

არც ისე ხეირიანად იმუშავა ყველაზე დიდმა და ხმაურიანმა გაერთიანებამ. ალბათ, მიხვდებით - საუბარია "დაიმლერ-ბენცისა" და "კრაისლერის" შერწყმაზე. წარუმატებლობის მიზეზები, რამაც შარშან გერმანულ-ამერიკული გიგანტი ლამის გაყიდვამდე მიიყვანა ("დაიმლერ-კრაისლერი" ყოველდღიურად 20 მილიონ დოლარს კარგავდა და მისი აქციების ფასი განახევრდა, რის შემდეგაც ნავიდა საუბარი, რომ კომპანიას "ტოიოტა" იყიდდა), იურგენ შრემპის - ადრე "დაიმლერ-ბენცის," ახლა კი გაერთიანებული გიგანტის თავკაცის - შეცდომები და ავტოკრატული მმართველობის მეთოდები იყო. შრემპმა გაერთიანებისას აქციონერებთან თავი მოიკატუნა და განაცხადა, რომ ეს თანაბარი პარტნიორების შერწყმა იყო, მაგრამ გარიგება გაფორმდა თუ არა, კონცერნში გერმანული პოზიციების გამყარებას შეუდგა. მან გაყარა "კრაისლერის" გამოცდილი ხელმძღვანელები მუშაკები, რომელთა მეშვეობითაც კომპანია წარმატებით უწევდა კონკურენციას თვით "ჯენერალ მოტორზსა" და "ფორდს" და, რაც მთავარია, შეცვალა "კრაისლერის" ორიენტაცია. ეს უკანასკნელი მუდამ ეკონომ-კლასის მანქანებზე მუშაობდა, შრემპი კი მას ისე მიუდგა, როგორც "მერსედესების" - ფუფუნების მანქანების - ახალ მწარმოებელს, რომელიც მისმა კომპანიამ ჩაიგდო ხელთ. ამ შეცდომებმა საკმაოდ გვიან, მაგრამ მთელი სიმწვავეთ, იჩინა თავი და ავტოგაიგანტს მეტად მტკიცე უფრო რეფორმების გატარება მოუხდა კრიზისიდან თავის დასაძვრენად: დათხოვილ იქნა ათასობით თანამშრომელი ამერიკისა და იაპონიაში ("მიცუბისი" ქარხნებში), "კრაისლერი" ნელ-ნელა ძველ საქმიანობას დაუბრუნდა და ბოლო ცნობების მიხედვით, არა მხოლოდ ამერიკის ბაზარზე იბრუნებს პოზიციებს, არამედ ევროპაში ექსპანსიისათვის ემზადება. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანებამ მაინც გაამართლა, თუმცა, ყველაფერი თავიდანვე უფრო უკეთ შეიძლებოდა წარმართულიყო.

რაზან გერმანიაზე გადმოვიდით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ "ფოლკსვაგენის" უდიდესი წარმატებები. ეს კომპანია



"კრაისლერის" თავკაცი რობერტ იტონი და მისი კოლეგა იურგენ შრემპი დიდი გაერთიანებისას

იქ, სადაც მხოლოდ დიდი სახელები და დიდი ინტერესები დარჩა

მათარბობა გვარდიანს

არ ჩართულა დიდ გარიგებებში, მაგრამ გეგმაზომიერად მიჰყვებოდა ჯერ კიდევ, ალბათ, გასული საუკუნის 30-იან წლებში დასახულ გზას – მუშაობდა საშუალო შემოსავლის კლიენტზე (რაც არის გათვლილი კომპანიის ყველაზე პოპულარული მარკები “გოლფები” და “ხოჭოები”, ანდა ჩეხური “სკოდას” მანქანები, რომელთა წარმოებაც “ფოლკსვაგენმა 90-იანების შუაგულში ჩაიგდო ხელთ), რისი წყალობითაც, პრაქტიკულად, არ უგრძვნია გლობალური ეკონომიკური ჩავარდნის გავლენა და მუდამ ზრდაზე მუშაობდა. თუმცა, ბოლო დროს გერმანული გიგანტი სხვა მიმართულებითაც აფართოებს თავის მოღვაწეობას. კერძოდ, იგეგმება ფუფუნების, ძვირიანი სექტორის დაპყრობა, რაშიც კომპანია დიდ იმედებს ამყარებს “ლამბორგინიზე”, “ბენტლიზე” და “აუდის” ზოგიერთ მარკაზე. სპეციალისტები, ბოლო დროს, ბევრს ბჭობენ “ფოლკსვაგენის” ამ გეგმებზე, ზოგიერთის აზრით კომპანია გარკვეულ რისკზე მიდის, თუმცა გერმანული გიგანტის ხელმძღვანელობამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ყოველთვის სწორად აკეთებს გათვლებს და “ფოლკსვაგენის” აქციონერებს შიშის საფუძველი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ.

რაც შეეხება მესამე, ყველაზე მცირე, მაგრამ არანაკლებ ცნობილ გერმანულ ავტოკომპანიას, “ბემევეს”, მისი მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია. ხშირად ჩნდება ცნობები იმის თაობაზე, რომ კომპანია შეიძლება სხვამ შეისყიდოს, თუმცა, ამის რიგიეტიური საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს, თუკი არ ჩავთვლით იმას, რომ “ბემევე”, “პეჟო სიტროენის” დარად, შედარებით მომცრო კომპანიაა და კორპორაციული გაერთიანებებისა და გლობალიზაციის პირობებში იგი, ადრე თუ გვიან, ვიღაცის ხელთ უნდა აღმოჩნდეს. მაგრამ “ბემევემ” რამდენიმე წლის წინ მძიმე კრიზისს დააღწია თავი (კომპანიის ბრიტანული შტო “როვერი” არნახულ წაგებაზე მუშაობდა და “ბემევემ” იგი სასწრაფოდ მოიშორა თავიდან: “როვერი” საგანგებოდ შექმნილ ბრიტანულ კონსორციუმს მიეყიდა სიმბოლურ ფასად, 1 გირვანქად) და სხვასთან გაერთიანება მაშინ არ უფიქრია, მით უფრო საეჭვოა, რომ ამაზე ახლა წავიდეს, როცა საქმე მშვენიერად აქვს.

ორი დიდი დინასტიის კრიზისი

ევროპა რომ ამოფიქროს, ბარემ “ფიატსაც” შევეხოთ. კორეული ჩაბოლოებისა არ იყოს, ეს კომპანიაც ოჯახის (ანიელების ცნობილი დინასტიის) მიერაა მართული და შეიძლება, ამის გამოც წააწყდა უმძიმეს პრობლემებს. “ფიატი”, ავტომანქანების გარდა, საბანკო, საგამომცემლო და კიდევ რამდენიმე ბიზნესითაა



ბიზნეს უიკი "ტოიოტას" ამერიკაში გაბატონებას აღნიშნავს

დაკავებული, მაგრამ მის უმთავრესი შემოსავალი მაინც ავტონარმოებაზე მოდის, ამ მხრივ კი იტალიური გიგანტი თავის კონკურენტებს სერიოზულად ჩამორჩა და თუკი ადრე ევროპის მეორე ავტომწარმოებელი იყო (“ფოლკსვაგენის” შემდეგ), ახლა ხუთეულში ძლივს ინარჩუნებს ადგილს. კომპანიის უხვირო მარკეტინგმა კატასტროფული შედეგები გამოიღო, ახალი მოდელები აშკარად ვერ პასუხობდნენ თანამედროვე მოთხოვნებებს და ავტომწარმოებელმა კატასტროფული წაგებები ნახა. ახლა “ფიატს”, პრაქტიკულად, მევაღე ბანკები მართავენ, რომელთაც კომპანია ანტიკრიზისულ გეგმებს ათანხმებს. გეგმები კი, უპირველესად, ცხადია, თანამშრომელთა დათხოვნებს გულისხმობს, რასაც უკვე არაერთი გაფიცვა მოჰყვა. ძნელი სათქმელია, რა ელის “ფიატს”. კომპანიას, ალბათ, ერთი გამოსავალი რჩება – როგორმე მიატანოს 2004 წლამდე, იმ დროისათვის კი შეუძლია, “ჯენერალ მოტორს” მიეყიდოს, რომელიც უკვე “ფიატ ავტოს” 20%-ს აკონტროლებს. მაგრამ ავტომწარმოების საქმეები ისე ცუდად არის, რომ თუკი ასე გაგრძელდა, ამერიკული გიგანტი მას, “როვერისა” არ იყოს, ალბათ, სიმბოლურ ფასად ჩაიგდებს ხელთ.

მანამდე კი “ჯენერალ მოტორს”, იტალიური კომპანიის გადასკიდე, პრობლემები აქვს, რადგან წაგებაზე მიმუშავე “ფიატის” 20%-მა ამერიკულ გიგანტზეც უარყოფითად იმოქმედა. თუმცა, სხვა მხრივ მსოფლიოს უდიდეს ავტომწარმოებელს არაფერი ეთქმის, მითუმეტეს, რომ მისი უმთავრესი კონკურენტი

“ფორდი” არნახულ კრიზისს განიცდის. ევროპაში წაგებაზე მომუშავე ქარხნების (რაც ისევ და ისევ ცუდი მარკეტინგის წყალობაა) რეორგანიზაცია, “ფიარსტოუნის” საბურავების სკანდალი (ამ საბურავებით აღჭურვილმა “ფორდის” მანქანებმა არაერთი ავარია განიცადა) და დაკისრებული უზარმაზარი ჯარიმა – ყოველივე ეს ლეგენდარული კომპანიისთვისაც მეტისმეტი გამოდგა. “ფორდის” ჯიბრზე ამას დამთხვა გლობალური კრიზისი და მანქანებზე მოთხოვნის დაცემა და საბოლოო შედეგად ის მივიღეთ, რომ კომპანია რამდენიმე სარეიტინგო სააგენტომ გვარიანად ჩამოაფასა. “ფორდს” უზარმაზარი ვალები ადევს და საქმეს ვერ შევლის ვერც თანამშრომელთა მასიური დათხოვნები და ვერც თვით ჰენრი ფორდის გენები – კომპანიის მისი დამარცხების შვილთაშვილის შვილი ბილ ფორდი მართავს. არ არის გამოცხადებული, “ფორდი” მალე თავისი ქონების ნაწილს შეელიოს, რათა როგორმე დაფაროს ასტრონომიული ვალები და საიმედო კომპანიის სახელი დაიბრუნოს. და ეს რაც შეიძლება, დროულად უნდა მოხდეს, რადგან მოგესვენებათ, დრო ფულია. “ფორდი” ერთადერთია ავტოგიგანტებიდან, რომელსაც ინვესტიცია არ განუხორციელებია ჩინეთში – მსოფლიოს ყველაზე სწრაფად ზრდად ბაზარზე, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ მისი კონკურენტები. თუმცა, ჩინეთში – ან თუნდაც სადმე სხვაგან - კაპიტალდაბანდებისათვის რომ “ფორდს” არ სცხელა, ეს ჯერ კიდევ შარშან გამოჩნდა, როცა კომპანიამ “დეუზე” გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება და შემდეგ უარი თქვა



ბილ ფორდს (მარცხნივ) ახალი მოდელები არ უმართლებს



ჰონდას ჰიბრიდული მოდელი

ამ “ნადავლზე.” როგორც უკვე ვახსენეთ, “დეუ” “ჯენერალ მოტორსს” დარჩა.

“თიქიუემი” იაპონელთა კოზირი

სტატია აზიით დავიწყეთ და აზიითვე დავასრულეთ. კერძოდ კი, იაპონიით. აქ გვეგულება ორი კომპანია, რომლებიც, ალბათ, სანიმუშოა მთელ ავტოსამყაროში. ესენია “ტოიოტა” (შემოსავლის მიხედვით პირველი კომპანია ავტომწარმოებლებში) და “ჰონდა”. მათ ერთი პლუსი აქვთ, რომლებიც გადამწყვეტია ავტონარმოებაში და საერთოდ, ბიზნესში. ამ პლუსს მენეჯმენტში “თიქიუემს” (თოთალ ქუალითი მენეჯმენტ) უწოდებენ და იგი აერთიანებს ისეთ რამეებს, როგორიცაა ბრწყინვალე მარკეტინგი (რამაც “ჩაიჭრა” თავის დროზე “ნისანი”), სრული ორიენტაცია კლიენტის მოთხოვნილებებზე, მმართველობის არაიერარქიული სტრუქტურა (მინიმუმამდე დაყვანილი სუბორდინაციული შრეები, გადანყვეტილების გამოტანასა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობენ როგორც ხელმძღვანელები, ასევე რიგით მუშაკთა წარმომადგენლები) და ბოლოს, სწრაფი და იაფიანი წარმოება, რისი წყალობითაც იაპონური მანქანები ტრადიციულად იაფია და აშშ-ის ბაზარზე მეტად კონკურენტუნარიანია (ამომავალი მზის ქვეყნიდან ამერიკის მარცხენა სანაპირო ახლოა და იაპონური მანქანები, ძირითადად, იქ იყიდება. აღმოსავლეთ სანაპიროდან კი უფრო ევროპული მანქანები შედის). “ტოიოტასა” და “ჰონდას” მაგალითი კიდევ ერ-

თხელ ცხადყოფს, რომ ძლიერ, კარგად მართულ კომპანიას ვერანაირი კრიზისი ვერაფერს დააკლებს. შეიძლება, ისეთი გამოთქმები, როგორიცაა კლიენტის მოთხოვნილებებზე ორიენტირება და მმართველობის არაიერარქიული სტრუქტურა საკმაოდ იოლად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში, ამის მიღწევა ურთულესი საქმეა. “თიქიუემი” ამერიკაშიც კი არ არის ხეირიანად ათვისებული (მითუმეტეს კი, ევროპაში), მის დაწერგვას ათწლეულები სჭირდება და მისი დაწერგვის ცდელობა – შეიძლება, კომპანიის დაშლითაც დასრულდეს. ამერიკის ავტომწარმოებლებიდან “თიქიუემით” ვერცერთი ვერ დაიკვხნის (სხვა სფეროში მოღვაწე ამერიკული კომპანიებიდან ეს შეძლო “მოტოროლამ”), აი, იაპონიაში კი ეს სისტემა ყველამ აითვისა, რადგან ამ ქვეყანაში შრომა კულტის დონეზეა აყვანილი და შეუძლებელი აქ არავისთვის არაფერია. “ტოიოტაცა” და “ჰონდაც” არანაირ ექსპანსიას არ ეწევიან და თუკი “ფოლკსვაგენი” ნვრილფენება მარკებზე მაინც ნადირობს (“სკოდა”, “ბენტლი”, “ლამბორჯინი”), ეს კომპანიები ამასაც კი არ ცდილობენ. ესეც “თიქიუემის” კონცეფციის ნაწილია – რაც შეიძლება მყარად დამკვიდრება ბაზარზე და დაყვანილობა ნაცად ბიზნესზე. ამ კომპანიის რა არის ყველაზე კარგი (მათი მთავარი მიზანი ამერიკისა და ევროპის ბაზრებია, რომლებიც მშვენიერად აქვთ ათვისებული. ლამის წელიწადი არ გავა, რომ იქ ახალი ქარხანა არ გახსნან) და ისიც იციან, ამას როგორ უნდა მიღწიონ. ბიზნესი კი მეტი არაფერი გახლავთ.

კორუფცია და "შავი ფული"

"შავი ფულის" ნაკადების აღმოჩენა ქართველ ბანკირებს ძვირი დაუჯდებათ

მანა ურუშაძე

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია - პრობლემა, რომელსაც ვერ ვიშორებთ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. უკანონო შემოსავლების: კორუფციის, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის, ტერორისტების ფინანსური მხარდაჭერის წინააღმდეგ ბრძოლა გადამწყვეტ ნაბიჯებს მოითხოვს. თეორეტიკოსები მსჯელობენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისთვის თავის დაღწევის სხვადასხვა გზებზე. მუშავდება მრავალგვარი ანტიკორუფციული სქემები. მაგრამ, რაც უფრო ფართოდ იმდება ბრძოლა, მით უფრო იხვეწება და რთულდება "შავი ფულის გათეთრების" ახალი მექანიზმები.

იმისათვის, რომ დაამარცხო მტერი, ჯერ კარგად უნდა გაიცნო ის. იმისათვის, რომ ებრძოლო კორუფციას, ჯერ კარგად უნდა გქონდეს გაცნობიერებული, რა გზებით ვითარდება იგი. იმისათვის, რომ გამოავლინო და აღკვეთო "შავი ფულის" ნაკადები, მთლიანი საბანკო სექტორი უნდა აკონტროლო - ეს არის მოკლე შინაარსი იმ კანონპროექტისა, რომელსაც, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტისა და აშშ-ს იურისტთა ასოციაციის ხელშეწყობით, 16-დან 18 ოქტომბრის ჩათვლით - სამი დღის განმავლობაში განიხილავდნენ ქართველი საბანკო სექტორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების, იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავ-

რობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, აშშ იუსტიციის დეპარტამენტის სისხლის სამართლის პროგრამის იურისტი ირაკლი კლდიაშვილი აცხადებს, "ამ კანონპროექტის დაწერა ნაკარნახევი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. ამ ფონდმა ერთერთ თავის რეკომენდაციაში მიანიშნა საფინანსო დაწესებულებებს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი სფერო, სადაც საჭიროა შემუშავდეს კანონმდებლობა. ჩვენ დაგვიკავშირდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ჩვენ მივანოდეთ მასალები, ჩამოვიყვანეთ ექსპერტები, და მოვედით ეტაპზე, როცა უკვე შეგვიძლია, რეალურ კანონპროექტზე ვიმსჯელოთ."

საიდან მოდის "შავი ფული"? როგორ "თეთრდება" და "ირეცხება" ის? - ამ კითხვებზე პასუხი იმ ანალიტიკურმა ჯგუფმა უნდა გასცეს, რომელიც საქართველოში შეიქმნება მას შემდეგ, რაც კანონპროექტი კანონად იქცევა, ანუ წლის ბოლოსთვის. ვინაიდან საქართველოში "შავ ფულთან" ბრძოლის გამოცდილება, ჯერჯერობით არ არსებობს, მსოფლიო გამოცდილებას რომელსაც ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები სიამოვნებით გაუზიარებენ ქართველ კოლეგებს - "ფინანსური მონიტორინგის ჯგუფს" (Financial Investigation Unit).

შევეცდებით, მოკლედ მოგანოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ დადგა დღის წესრიგში ახალი კანონის

მიღება, რას მოემსახურება ფინანსური ჯგუფი, და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ საბანკო მომსახურების სფეროში ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, რაც, სავარაუდოდ, მომავალი წლის აპრილში უნდა მოხდეს.

რას ნიშნავს "ფულის გათეთრება" და როგორ ვებრძოლოთ მას

უკანონო შემოსავლები, მაგალითად, ნარკოტიკების ან იარაღის რეალიზაციის გზით მიღებული თანხა, ბუნებრივია, ოფიციალურად ვერსად გაფორმდება. ანუ, ვერავინ მივა ბანკში და ვერ გადარიცხავს ფულს ნარკოტიკების ან იარაღის დიდი პარტიის შესაძენად (იოლი წარმოსადგენია, რამდენად გაუადვილებოდათ სამართალდამცავ სტრუქტურებს საქმე). ვერც ბინ ლადენს ჩაურიცხავს ვინმე გულშემატკივარი ტერორისტი ახალი ტერაქტის დასაფინანსებელ ფულს ასე იოლად. ამიტომ, ფინანსური ოპერაციები, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას უკავშირდება, ბუნებრივია, იმალება: ხან რა გზით, და ხან რა გზით. ზოგ შემთხვევაში, ხდება ქონების ან პროდუქციის ფიქტიური შესყიდვა, ზოგ შემთხვევაში სცენაზე საშუაშალო ფირმები და "საკონსულტაციო მომსახურება" გამოდიან... მოკლედ, გზები მრავალია. იმისათვის, რომ გაირკვეს, რა იმალება ამა თუ იმ ფინანსური ოპერაციის უკან,

სრულფასოვანი გამოძიებაა ჩასატარებელი, ვინაიდან, როცა საქმე "ფულის გათეთრების" შემთხვევასთან გვაქვს, როგორც წესი, ყველა დოკუმენტაცია სრულ წესრიგშია და არაფერი არ იძლევა "საფრთხის სიგნალს".

სწორედ ეს გამოძიება უნდა დაევალოს "ფინანსური მონიტორინგის ჯგუფს", რომელიც, სავარაუდოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან უნდა ჩამოყალიბდეს. მის საქმიანობას კი განსაზღვრავს კანონპროექტი "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის" შესახებ, რომელიც რამოდენიმე თვის წინ ჩამოყალიბებულმა უწყებათშორისმა კომისიამ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობით შექმნა.

ინფორმაცია ჯგუფის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსმა მურთაზ კიკორიამ მოგვანოდა: "მიმდინარე წლის 7 აპრილს შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისია, რომელშიც შევიდნენ სხვადასხვა სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლები და დაევალოთ ამ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავება. ამ კომისიამ შეაჯერა არსებული სხვადასხვა კანონპროექტები (ამჟამად 5-6 პროექტი არსებობს). ჩვენ სავალუტო ფონდის წინაშე გვაქვს ვალდებულება, რომ ეს კანონი წლის ბოლომდე პარლამენტში უნდა წარსდგეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სადღაც

ერთი თვის შემდეგ ჩვენ კანონპროექტი უკვე მზად გვექნება. ჯერჯერობით პროექტში ბევრი რამ არის დასახვენი, რაც, შეიძლება, დამატებითი კონსულტაციების და შეთანხმების საგნად იქცეს. მუშაობის პროცესში ჩვენ ვვლავლობით ნებისმიერი სახის ახალ წინადადებებს, ვარიანტებს, შენიშვნებს შესაბამისი სამინისტროებიდან. ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი, რაც კანონს საბოლოო სახეს მისცემს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, ეს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უწყებრივი დაქვემდებარებაა."

FATF Financial Action Task Force on Money Laundering

მსოფლიოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე დიდი გამოცდილება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებულ ფინანსურ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფს (FATF - Financial Action Task Force on Money Laundering) აქვს. დიდი შვიდეულის ქვეყნების მიერ 1989 წელს დაფუძნებული ეს ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს 29 ქვეყანას, სპარსეთის ყურის ქვეყნების საბჭოსა და ევროკომისიას აერთიან-

ბაბრძილა E14 გვირდო



კოტე კველიძე



ვასტანგ ხმალაძე



ლევან რამიშვილი

კორუფცია და "შავი ფული"

"შავი ფულის" ნაკადების აღმოჩენა ქართველ ბანკირებს ძვირი დაუტდებათ

მაცნაველი გვარდნიანი

ნებს, საერთაშორისო ფინანსური ნაკადების კონტროლზე სპეციალიზდება. მას შემუშავებული აქვს 40 რეკომენდაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანამ უნდა შეასრულოს, რათა საერთაშორისო სარბიელზე ეკონომიკური ჯგუფების ნდობა დაიმსახუროს. ამ რეკომენდაციათაგან უპირველესია მოთხოვნა იმისა, რომ "ყველა ქვეყანამ დაუყოვნებლივ უნდა გადადგას ნაბიჯი, რათა მოახდინოს გაეროს 1998 წლის კონვენციის რატიფიკაცია ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა (ვენის კონვენცია) უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ".

ქვეყნები, რომლებსაც არ აკმაყოფილებენ FATF-ის მოთხოვნებს, მის "შავ სიაში" ხვდებიან, რაც მათ მიმართ სერიოზული ეკონომიკური სანქციების შემოღების საბაზის ხდება. როგორც წესი, FATF-ის "შავ სიაში" ხვდებიან ქვეყნები, რომლებიც "არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლისთვის". FATF-ის მონაცემებით, დანაშაულებრივი შემოსავლების "გათეთრების" მოცულობა მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად 590 მილიარდი დოლარიდან 1,5 ტრილიონ დოლარამდე მერყეობს. "შავ სიაში" შესული ქვეყნებიდან პირველი, რომლის წინააღმდეგაც გასული წლის დეკემბერში ფინანსური ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფმა თავისი სანქციები აამოქმედა, ნაურუ იყო. ამ ქვეყანაში დარეგისტრირებულ საკრედიტო ორგანიზაციებს, რომელთაც ეს სანქციები უშუალოდ შეეხო, დღემდე უჭირთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში თავისი ფილიალების გახსნა. FATF-ის აღმფთვებელი ნაურუს შემთხვევაში გამოიწვია იმან, რომ აქ 10 ათას სულ მოსახლეზე ოთხასი ბანკია დარეგისტრირებული. ამჟამად ამ ქვეყნის ბანკების ყველა ტრანზაქციები (გადარიცხვები) მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. "წესიერი" ქვეყნები ნაურუს არასაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაშიც კი გაათმაგებულ სიფრთხილეს იჩენენ.

ახლა FATF-ის სანქციები უკრაინასა და ნიგერიას ემუქრება. FATF მათ წინააღმდეგ თავისი საჯარიმო სანქციების ამოქმედებას წლევანდელი 15 დეკემბრიდან გეგმავს. ერთადერთი გზა, რომლითაც ამ ქვეყნებმა, შესაძლოა, თავი აარიდონ ამ სანქციების ამოქმედებას, საკუთარ კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებებს შეტანა, რაც შარშან რუსეთმა გააკეთა.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მთელი კასკადით რუსეთმა, სამ სხვა ქვეყანასთან - ნიუეს, მარშალის კუნძულებსა და დომინიკანე-



ბის რესპუბლიკასთან ერთად, თავი დააღწია FATF-ის "შავ სიაში", რომელშიც ის 2000 წლის ივნისში მოხვდა. თუმცა, საგანგებო ეკონომიკური სანქციების შემოღებით FATF რუსეთს მხოლოდ 2001 წლის 24 ივნისს დაემუქრა და მას ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონის მიღება მოსთხოვა. პუტინმა სასწრაფოდ მოაწერა ხელი კანონს "არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ", რის გამოც FATF-მა, მართალია, რუსეთი "შავ სიაში" დატოვა, მაგრამ სანქციების არ შემოუღია. 2002 წლის მარტში FATF-მა რუსეთის მიმართ მოთხოვნები კიდევ უფრო გაამკაცრა და კანონმდებლობის "საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა" მოითხოვა. რუსეთის შემთხვევაში საქმე იქამდეც მივიდა, რომ რეფორმების აუცილებლობა საგადასახადო და სამართალდამცავი სექტორების წინაშეც დადგა. 2002 წლის სექტემბერში რუსებმა მოინვიეს FATF-ის კომისია, სასწრაფოდ მოაწერეს ხელი "არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ" კანონში დამატებითი ცვლილებების შეტანასა და ექვსასი ათას რუბლად შეფასებული ყველა გარიგება ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის მხრიდან სავალდებულო კონტროლს დაუქვემდებარეს.

FATF-ის ქართული ვარიანტი - ფინანსური მონიტორინგის ტეფი

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, სავარაუდოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეიქმნება (თუმცა, ჯერჯერობით ქართული FATF-

ის ადგილი ზუსტად არ არის განსაზღვრული მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება სოლიდურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული).

"მე უფრო ვამჯობინებდი რომ ეს ყოფილიყო დამოუკიდებელი სტრუქტურა და არ ყოფილიყო მოქცეული რომელიმე გნებავთ საკანონმდებლო, გნებავთ აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალში. მისი შექმნის მექანიზმი უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული პოლიტიკური ზემოქმედებისაგან და შემდგომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, თავისუფალი, დაცული. სხვაგვარად ის შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკური იარაღი," - მიიჩნევს "კონსტიტუციის დაცვის ლიგის" თავმჯდომარე, "მრეწველი" ვახტანგ ხმალაძე.

"ჩვენ, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, და ქვეყანა, რომელიც დემოკრატიული ღირებულებებისკენ არის ორიენტირებული, აუცილებლად უნდა მსჯელობდეს, რომ დაკანონდეს ზომები უკანონო ფულის ლეგალიზაციის და ე.წ. "გარეცხვის" წინააღმდეგ. თუმცა, თუ ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის საბჭო ისევ მათ ჩავუვადებთ ხელში, და ეს კანონი მათ მივეცი, ვის წინააღმდეგაც უნდა ვიბრძოლოთ, მაშინ შეიძლება კატასტროფა მივიღოთ. ეს ჯგუფი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მუშაობდეს პრეზიდენტის განკარგულებით, როგორც ჩანერილია კანონპროექტში. ეს კანონი სწორედ იქით უნდა იყოს მიმართული, რომ გამოვამზეუროთ, რა ხდება პრეზიდენტის გარემოცვაში. ეს ორგანიზაცია უნდა იყოს არა საუნყებათაშორისო, არამედ ხელისუფლებათაშორისი, ანუ აქ უნდა იმუშაონ საკანონმდებლო

ორგანოს, აღმასრულებელი ორგანოსა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა და არ უნდა იყოს მოქცეული ერთ ვერტიკალში. ეს სამკუთხედი კი შექმნის მეტად კონტროლირებად ფილტრს. ჩვენი ბევრი ექსპერტიც სწორედ ამას გვთავაზობს. "ნუ ჩამოკიდებთ ასეთ განუვითარებელ ქვეყნებში ერთ ხელისუფლებას კონტროლის მთლიან მექანიზმს, თორემ დაიღუპებით," - გვირჩევენ ისინი. მივალბინოთ ჯგუფში მონაწილეობა ორ დიდ ძირითად ხელისუფლებას: საკანონმდებლოს და აღმასრულებელს და დავუსვათ ექსპერტად ეროვნული ბანკი, იმიტომ რომ ის არის ძირითადი ფინანსური მონიტორინგის განმხორციელებელი ორგანო," - თვლის "ნაციონალი" კოტე კემულარია.

"ჯგუფს ადგილი მესახება ან ეროვნულ ბანკში, ან სრულად დამოუკიდებელი სამსახურის სახით. იმისთვის, რომ მას დამოუკიდებლობის რეალური ხარისხი ჰქონდეს და თავისი ფუნქციების შესრულება კარგად შეძლოს, ჩემი აზრით, ჯობს, მისი ხელმძღვანელი პირველ ეტაპზე უცხოელი მოქალაქე იყოს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გარდა მონიტორინგის სისტემისა, კანონით დროულად განისაზღვროს თავად ამ უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული მექანიზმები. საჭიროა კონფისკაციის ინსტიტუტის შემოღება. პარალელურად, უნდა მოხდეს ნაღდი ფულის ბრუნვის შეზღუდვა. ეს შეიძლება ნაკლებად იყოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კომპეტენცია და უფრო საგადასახადო ორგანოებს ეხებოდეს, მაგრამ გარკვეული თანხის ზევით ნაღდი ფულით ანგარიშსწორება

კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, რადგან ეს პირდაპირი ნივთიერების უკანონო შემოსავლების დაგროვებისათვის," - აცხადებს ლევან რამიშვილი "თავისუფლების ინსტიტუტიდან".

ახალი ორგანიზაციის სტრუქტურა შემდეგია: სხვადასხვა კომერციული ბანკები ინფორმაციას "საეჭვო" თანხების მოძრაობის შესახებ მიანვიდან ცენტრს - ფინანსური მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც ამ ინფორმაციას გადაამუშავებს და, შემდგომ, თავად შეამოწმებს "საეჭვო" თანხების წარმომავლობას.

თუმცა, ჯერჯერობით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმები უნდა იყოს ჯგუფისთვის "სასიგნალო". კანონპროექტის მიხედვით, ჯგუფისთვის "სასიგნალო" უნდა იყოს 30 ათასი ლარის და მეტი ოდენობის თანხის გარიგება. ასეთი სახის გადარიცხვები კი, შესაძლოა, ძალიან ბევრი იყოს.

"კანონპროექტთან დაკავშირებით ყველაზე უფრო მეტი შენიშვნა ეხებოდა იმას, რომ თუ კანონი ისეთი სახით იქნა მიღებული, რაც პროექტშია წარმოდგენილი, ეს შეუძლებელს გახდის მთელი ინფორმაციის დამუშავებას, იმდენად ბევრი იქნება ის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკებს ძალიან მკვეთრად მოუწევთ თავისი თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა, რაც, ბუნებრივია, გააძვირებს საბანკო მომსახურებას," - მიიჩნევს ვახტანგ ხმალაძე.

გარდა თანხის ოდენობისა, გარიგების "საეჭვოობა" შეიძლება სხვა კრიტერიუმებაც გამოიწვიოს, მაგალითად, ანონიმური პირის ანგარიშიდან, ან ანონიმური პირის ანგარიშზე, ოფშორული ზონიდან, ან ოფშორულ ზონაში განხორციელებულმა ტრანზაქციებმა (გადარიცხვები). კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ფულის მიღება საბანკო ჩეკით წარმომდგენზე, პირის მიერ საწარმოს საწინდებო კაპიტალში ფულადი სახსრების შეტანა, მესამე ფიზიკური პირისთვის ანგარიშის გახსნა მასზე ფულადი სახსრების ნაღდი ან უნაღდო ფორმით განთავსებით, სესხის გაცემა ან მიღება მაღალი საპროცენტო განაკვეთით, სესხის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე და ასე შემდეგ...

საეჭვო გარიგებათა კრიტერიუმები ჯერჯერობით ისევ მსჯელობის საგნად რჩება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბოლოოდ არის გადასაწყვეტი უმთავრესიც: ჯგუფის ადგილი სახელმწიფოში.

ერთი სიტყვით, კანონპროექტი, რომელიც სამუშაო ჯგუფმა წარადგინა, ჯერჯერობით "თოთოა", ბევრ მუშაობას და კარგად დახვეწას საჭიროებს, თუმცა, მის მიღებამდე - მომავალი წლის აპრილამდე, ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი.

ფრაგმენტები ფოთის ნავსადგურის ისტორიიდან

ფოთის ნავსადგური საქართველოს უმთავრეს საზღვაო კარიბჭედ ჩამოყალიბებას მეტწილად ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს უნდა უმაღლოდეს. პორტი მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1889-1905 წლებში შენდებოდა. 1894 წელს ნიკო ნიკოლაძე კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს ფოთის ქალაქის თავად. მისმა ზრუნვამ ქალაქ ფოთისა და მისი ნავსადგურის მშენებლობის საქმეში დიდი შედეგი გამოიღო. გთავაზობთ ნიკო ნიკოლაძის მიერ 1864 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, რომელშიც იგი საუბრობს ფოთის, როგორც საპორტო ქალაქის, განვითარების პერსპექტივების თაობაზე.

ფოთი მდინარე რიონის შესართავთან მდებარეობს, მოპირდაპირე მხარეზე რედუტ-კალესი, რომელსაც ადრე ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მხოლოდ ეხლა იწყებს გაფურჩქვნას და ამჟამად 2000 მცხოვრებს ითვლის. მისი მდებარეობა, როგორც უკანასკნელი ნერტილისა, სადამდისაც შეიძლება სამდინარო ნაოსნობა რიონზე, სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვიდან მარანამდე მიდის, ნყლით, ხოლო შემდეგ ქუთაისზე გავლით თბილისში, იქიდან კი, ერთი გზით კასპიის ზღვისაკენ, ხოლო მეორეთი – ნახიჩევანზე გავლით – თავრიდაში. ყველაფერი ეს, ამიერკავკასიის ვაჭრობის ზრდასა და სპარსეთის სურვილთან ერთად, რომ სატრანზიტო ვაჭრობა ამ გზით მომართოს, ამ ქალაქს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თუ გავიხსენებთ, რომ ოდესა, რომელიც მხოლოდ 1796 წელს იცნეს ქალაქად, ნახევარ საუკუნეში გადაიქცა რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს ქალაქად 100.000 მცხოვრებითა და შესაზიდ-გასახადი საქონლის ვაჭრობით, რაც ყოველწლიურად 30 მილიონამდე ადის; ამასთან, თუ გავიხსენებთ, რომ სატრანზიტო ვაჭრობა ტრაპიზონში 25 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 30.000-დან 130.000 ლასტამდე გაიზარდა, მაშინ ფოთის მდებარეობას ორმაგად ბრწყინვალე მომავალი უნდა ვუწინასწარმეტყველოთ, რადგან იგი ერთის მხრით ახალ სავაჭრო ადგილად იქცევა რუსეთისა და ევროპისათვის, მეორეს მხრით კი, სატრანზიტო ვაჭრობის შიდა აზიაში გადატანით, ტრაპიზონ-არზრუმის ხაზს თბილისის ხაზს უერთებს.

ფოთის მომავალი უფრო უეჭველი იქნებოდა, შესაძლებლობა რომ იყოს ქალაქის ახლოს კარგი საზღვაო ნავსადგურის მოწყობისა. ერთგვარი ნაკლი იგრძნობა, როგორც ნავსადგურის პროექტებში, ისე მათი განხორციელების ძვირფას ცდებში; თუმცა მთელი საამშენებლო პროექტით, ჭაობიანი ნაპირითა და ზღვის ფსკერის დანაგვიანებით შექმნილი სიძნელეები დიდი ხნის განმავლობაში სახიფათო იყო, რომ ასეთი წამოწყების ხარჯები არ იქნებოდნენ მისი შემოსავლის შესატყვისი. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთის მთავრობას ამ ნავსადგურის მოწყობისათვის თავის დანებება უნდაო, თანაც ექვსი თვის წინათ სამუშაოები კვლავ განახლდა და კავკასიის ახლანდელმა მართებლობამ დიდი სახსრები დააბანდა ამ წამოწყების სისრულეში მო-

საყვანად. ამოქმედებულია ორთქლის მანქანა ქვიშიანი ნიღაგის გასაღრმავებლად და ნავსადგურის მშენებლობასთან ერთად უკვე შეუდგნენ წინასწარ სამუშაოებს რკინიგზის გასაყვანად, რომელმაც შავი ზღვა კასპიის ზღვას უნდა შეუერთოს.

მიმოსვლა მდინარე რიონის შესართავსა და ამ სანაპიროს მთავარ ნავსადგურს – ბათუმს შორის, რომელიც რუსეთის ნაოსნობის ორივე მთავარი ხაზის გამოსავალ პუნქტსა ქმნის შავი ზღვის აღმოსავლეთში, წარმოებს ორი პატარა გემით, რომელნიც იღებენ მგზავრებსა და საქონელს თბილისიდან თბილისისაკენ დიდი საზღვაო გემებიდან – ბათუმში. ვაჭართა წრე არ ფარავს იმას, რომ უხერხულობანი ორმაგი გადატვირთვით გამოწვეული შენობების უკმარისობის გამო ფოთში, სადაც საქონელი დიდხანსა და ღია ცისქვეშ ალაგია, - წარმოადგენს რუსეთის ხაზზე ტრანზიტის გადმოტანის მთავარ დაბრკოლებას. საკუთრივ ამიერკავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის ასეთი მიმოსვლა ახლა უკვე, წინასწარმეტყველებით შედარებით, წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს, რადგან ქვეყნის ნაწარმი ზემოხსენებული სანაოსნო მიმოსვლის გაზრდის მეშვეობით უფრო ადვილად სალდება, რაც წინათ ასე არ ხდებოდა. ნაწარმის გატანისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ რუსული საზოგადოება საქონელს უშუალოდ აგზავნიდა ბათუმიდან მარსელში, სადაც მისი გემები დაიარებინ, რადგან ამიერკავკასიისა და მის იქით მდებარე ქვეყნების ნაწარმის ყველაზე მეტი ნაწილი საუკეთესო ბაზარს საფრანგეთში პოულობს.

შესანიშნავია, რომ იგივე ზრდა საქონლის გაზიდვაში, რაც უკანასკნელ წლებში შავი ზღვის მთელ სანაპიროს ახასიათებდა, შესამჩნევია ამიერკავკასიის ვაჭრობის სფეროშიც. ქვემოთ მოტანილი მიმოხილვა წარმოადგენს ვაჭრობის მოძრაობას ციფრებში. ფოთის ნავსადგურში ნაოსნობა 1863 წელს იყო: 534 შემოსული და 375 გასული გემი.

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ გაზიდვის მთავარი საგნებია აბრეშუმი ნუხის მაზრიდან, ბამბა ერევნის გუბერნიიდან და გუმბრიდან, ცხვრის მატყლი აღმოსავლეთ საქართველოდან, სიმინდი სამეგრელოდან და იმერეთიდან; მწერების სანაწარმდგომი ფხვნილი თბილისის მიდამოებიდან და სხვადასხვა ჯიშის ხეტყე აფხაზეთიდან.

შემოზიდვის მთავარი საგნები არიან: შაქარი, კოლონიური



ნიკო ნიკოლაძე

საქონელი, მანუფაქტურული საქონელი და სასმელები, უმთავრესად საფრანგეთიდან; ლითონის საქონელი, სანვაი ნივთიერებანი, მუდი გერმანიიდან და ხილი, თამბაქო და სანელებლები თურქეთიდან და სპარსეთიდან.

რაოდენობისა და ღირსების მაჩვენებელი რიცხვები ზუსტად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ისინი ემთხვევა ამიერკავკასიის ვაჭრობაზე არსებულ საერთო ცნობებს იმდენად, რამდენადაც ამ ცნობებში ჩართულია მესამე

შემოზიდვა	
ევროპული და კოლონიური საქონელი	324.080 მან. 45 კაპ.
აზიური საქონელი და ნაწარმი	196.860 მან. 70 კაპ.
სულ	520.941 მან. 15 კაპ.
ფულის შემოზიდვა: რუსული ოქროს ფული	164.532 მან. 20 კაპ.
ვერცხლის ფული, რუსული; საკრედიტო ნიშნები;	
ოქროს ფული, უცხოური ვერცხლის ფული	178.602 მან. 35 კაპ.
შემოზიდვის ჯამი	699.543 მან. 50 კაპ.
გაზიდვა	
რუსული ნაწარმი	1.385 მან.
ამიერკავკასიის ნაწარმი: კაკლის ხე; პალმის ხე; გამოუყვანელი ტყავი; ირმის რქა; მწერსანინალმდგომი ფხვნილი; მწერთა სანაწარმდგომი ბალახეული; სიმინდი (თურქული ხორბალი); აბრეშუმი; აბრეშუმის პარკი; ფრიზონები; ნაყაჭური; აბრეშუმის ჭიის თესლი; ცხვრის მატყლი; ჯაგარი; ბამბა; სხვადასხვა საქონელი	3.660.084 მან. 50 კაპ.
საზღვარგარეთული ნაწარმი	5.950 მან.
სულ	3.667.419 მან. 50 კაპ.
ფულის გაზიდვა: ოქრო, ვერცხლი, საკრედიტო ნიშნები	43.417 მან. 40 კაპ.
გაზიდვის ჯამი	3.710.836 მან. 90 კაპ.
ამიერკავკასიაში და სპარსეთში სატრანზიტო საქონელი, რომელმაც საბაჟოში გაიარა 1863 წელს:	
1. ამიერკავკასიის საბაჟოებში სანყოფნისათვის	206.808 მან. 14 კაპ.
2. ტრანზიტის სპარსეთში	5.464 მან. 03 კაპ.
თურქული ვერცხლის ფული	52.355 მან.
ტრანზიტის ჯამი	212.271 მან. 17 კაპ.

ცხრილში ნაჩვენები საქონლის რაოდენობა. თუმცა, სწორედ ფოთი წარმოადგენს იმ ადგილს, საიდანაც ხდება გაგზავნა შემოსაზიდი ბაჟადებული საქონლისა, რომელიც თავის საზღვაო გზას რუსეთის სახელმწიფოს ამ ნაწილში გაივლის, მაგრამ მაინც კარგი იყო ყურადღება მიქცეოდა, რომ ყოველი გასაგზავნი საქონელი, რომლის შეფუთვა აუცილებლად მოითხოვს ცალკე გახსნას და შემოწმებას, მიღებული ყოფილიყო საზღვარზე მხოლოდ პლომბითა და საბაჟო ზედამხედველობით თბილისამდე მიტანილ, სადაც შემდეგი ტრანსპორტისას იქ საბაჟოში დაედებოდა ბაჟი, ხოლო ტრანსპორტს, რომელიც მიდის სპარსეთში, ახლად დაედებოდა პლომბი და იგი საბაჟოს საფარქვეშ გაიგზავნებოდა საზღვარზე. ამ შემთხვევაში, სატრანზიტო საბაჟო გადასახადი ამ საქონელს არ დაედებოდა. მანიპულაციის გამარტივება, საბაჟოს მოხელეთა შრომის საკმაოდ გარკვეული ანაზღაურება, ადგილმდებარეობის გაუმჯობესება, ტრანსპორტის ნყოფისათვის და საქონლის გასაგზავნი ადგილების გაუმჯობესება მომავლისათვის, წარმოადგენს სატრანზიტო ვაჭრობის გაზრდის უახლოეს მოთხოვნებს. საქონლის გადაზიდვის ძველი სახეობა ქარაგნებითა და სასაპალნე ცხოველებით, თანდათანობით ისპობა თბილისის გზაზე და იცვლება თვლიანი ტრანსპორტით, მას შემდეგ, რაც გზა მარანიდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ეკიპაჟი და საქონლისა და მგზავრთა გადაყვანა ამ გზაზე უმთავრესად ჩაგდებული აქვთ ხელში გერმანელ კოლონისტებს, რომელნიც თბილისის მიდამოებში ბევრ სოფელსა ფლობენ. გადაზიდვა აქ ახლა ვითარდება, მაგრამ წინდანი შეიძლება იმედი გვექონდეს, რომ ახალი დროის აღმოჩენები მაშინვე მოახდენენ მასზე გავლენას, როგორც კი ფოთსა და თბილისს შორის დაპროექტებული რკინიგზის გაყვანა განხორციელდება.

დასასრულ, შეიძლება აგრეთვე იმედი ვიქონიოთ, რომ ორივე პუნქტს შორის საფოსტო კავშირი, რომელიც ახლა ნელია და ამიტომ მეტად მოდუნებული, მოეწყობა ვაჭრობისა და ნურილების გამგზავნი საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად. რადგან ამიერკავკასიისათვის მთავარი ქალაქითა და ნავსადგურებით გააჩნია მშვიდობიანი მიმოსვლა და მისი გადაძვეული გზები მთელი კავკასიის საბოლოო დაპყრობით უფრო გამოცოცხლდება, არ შეიძლება არ ვირწმუნოთ, რომ მიმოსვლა ზღვისპირა და შინაგან პროვინციებს შორის ერთის მხრით და საფოსტო მიმოსვლა ამ პუნქტებს შორის და უცხოეთთან მეორეს მხრით, სახელდობრ ოსმალეთის დედაქალაქთან და იქიდან ევროპასთან, მთავრობისა და ამაში დაინტერესებული საზოგადოების ცოცხალი მზრუნველობის საგნად უნდა იქცენ.

ტექნოლოგია, როგორც ჯარჯარობით არავის სჭირდება



თორნიკე გარაშენიძე

დაახლოებით ორი წლის წინ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ერთობ წარმატებით გადაიჭრა საბიუჯეტო პრობლემები. ნუ იფიქრებთ, რომ იქაურ ფინანსისტებს გენიალური იდეების მოზღვავება ჰქონდათ. უბრალოდ, იმ პერიოდში შედგა მესამე თაობის მობილური ტელეფონების ქსელებისათვის ლიცენზიების გაყიდვა, რომელთა ხელში ჩასაგდებად კავშირგაბმულობის კომპანიებმა წამდვილი ომი მოუწყვეს ერთმანეთს და ბიუჯეტებშიც ათეულ მილიარდობით დოლარი შევიდა. განსაკუთრებით იმ ქვეყნებმა იხიერეს, სადაც ლიცენზიებზე ფიქსირებული ფასები არ იყო დაწესებული და გაყიდვა აუქციონის წესით ხდებოდა.

მაგრამ მას შემდეგ ამდენი ხანი გამოხდა და მესამე თაობის მობილურების გამოჩენას საშველი არ ადგას. ერთადერთი იაპონელებმა გამოიჩინეს თავი (ისინი ტექნოლოგიაში პირველობას ხომ არავის დაუთმობენ), მაგრამ იქაც საქმე თავის ერთი გამოჩენის იქით არ წასულა: მესამე თაობის ქსელი ტოკიოს რამდენიმე უბანში ამუშავდა და ისიც ხარვეზებით. რაშია საქმე? ამისათვის დახარჯეს კავშირგაბმულობის გიგანტებმა მილიარდები? ნუთუ მესამე თაობის მობილურები არავის სჭირდება?

საქმე ისაა, რომ მობილურები თითქმის ყველას სჭირდება, მაგრამ მესამე თაობაზე კი, რა მოგახსენოთ. აშკარაა, რომ ტექნოლოგია გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ადამიანის მოთხოვნილება და მითუმეტეს, მისი ჯიბის სისქე.

მესამე თაობის მობილურები ჩვეულებრივისაგან რამდენიმე თვისებით გამოირჩევა. ამათგან ერთ-ერთი უმრავლეს-

სი ვიდეოსიგნალის გადაცემამილების შესაძლებლობაა: თქვენ შეგიძლიათ ტელეფონში უყუროთ კლიპებს, საფეხბურთო მატჩებს და ა.შ. მაგრამ სჭირდება კი ეს კაცობრიობას?

თავიდან, როცა მობილურები ახალი ხილი იყო, ამ ბიზნესში ყოფნას არაფერი სჯობდა. ყველას სურდა აპარატის შეძენა და ქსელში ჩართვა, მაგრამ შემდეგ ინტერესი ნელ-ნელა განელდა და მისი გაღვივება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. კი, კარგი იყო ხმოვანი ფოსტა, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მაგრამ აი, მობილური ინტერნეტი მომხმარებელს ისე აშკარად აღარ აინტერესებს და “ვაიანი” აპარატების დატაცებას არავინ ჩქარობს. ასეთ რამეს ყოფილი საბჭოეთის მოქალაქეები უფრო ხარბდებიან. მაგრამ დასავლეთში კი, სადაც თავის გამოჩენა და “მარიაჟობა” ნაკლებადაა გავრცელებული, ყოველივე ამას საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ. მობილური, უპირველესად, სასაუბროადაა საჭირო, ინტერნეტი კი... მითუმეტეს, ნაკლებად სჭირდება ხალხს ვიდეოკლიპები. თანაც, მოგეხსენებათ, ახლა გლობალური ეკონომიკური კრიზისია და ყველა ერიდება ფულის წინ და უკან ფანტვას. ამ კრიზისის გამო, კავშირგაბმულობის კომპანიებიც გვარიანად გაიჭედნენ (ამას, ორი წლის წინ, ლიცენზიებში მილიარდების ჩაყრამაც გვარიანად შეუწყო ხელი) და მომხმარებელმა უცებ ძალიანაც რომ მოინდომოს, მესამე თაობის ქსელის გამართვა ძალიან გაუჭირდება.

ყოველივე ამის გამო, მობილური კავშირების ბიზნესი არც ისე მოგებიანი გახლავთ. ეს ეხება როგორც ტელეფონების წარმოებას, ასევე კავშირგაბმულობასაც. მწარმოებლები საკმარისზე მეტნი არიან (თავდაპირველი ბუმის დროს ამ

საქმეში ძალიან ბევრი ჩაერთო), მაგრამ სერიოზულ მოგებაზე, ალბათ, სულ სამი კომპანია მუშაობს. ესენია – “ნოკია,” “მოტოროლა” და “სამსუნგი.” “სიმენსი” აპირებს საკუთარი წარმოება “მოტოროლას” დაუთმოს, შვედური “ერიქსონი” კი საერთოდ გაკოტრების პირასაა მისული. მობილურებზე მოთხოვნილების დაცემის გარდა, ამაში დიდი წვლილი იმანაც შეიტანა, რომ მესამე თაობის ქსელების გამართვა-ამუშავებას საშველი არ ადგას, შვედური კომპანია კი ამაზე დიდ იმედებს ამყარებდა და კავშირგაბმულობის გიგანტებისგან ზღაპრულ შეკვეთებს ელოდა. მაგრამ როგორც ვთქვით, ამ უკანასკნელთ არანაირი მესამე თაობის ქსელების გაგონება არ სურთ. “ფრანს ტელეკომს” ვალები ახრჩობს და ვინძლო სულ გაყიდოს ლიცენზია, რომელში ამდენი ფული დახარჯა. მაგრამ ვინაა მყიდველი? “ერიქსონის” გარდა, მობილური ქსელების გამართვით “მოტოროლაცაა” დაკავებული, მაგრამ იგი აპირებს ეს პრივილეგია “სიმენსს” დაუთმოს (მობილურების წარმოების სანაცვლოდ), რომელიც ამ საქმეებში უფრო განაფულია.

კარგი რამე ჩანს ეს მესამე თაობის მობილური, მაგრამ მისთვის ახლა წამდვილად არავის სცხეულა. ყველა კრიზისზე ლაპარაკობს, 11 სექტემბერმა ლამის ახალი დიდი დეპრესია გამოიწვია, აგერ ინდონეზიაში ტერაქტებმა ლამის კიდევ ერთი აზიური კრიზისი ააგოროს. მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ბევრს ლაპარაკობენ, ბევრ ფულსაც ხარჯავენ, მაგრამ ლათინურ ამერიკას მაინც არაფერი ეშველა. აქეთ ერაყთან ომი გველის, რომელიც, ვინ მოთვლის, რამდენ მილიარდს წაიღებს...

გვინდა ჩვენ მესამე თაობის მობილური?

